


# ხობის მოამბე

№10 (7125) 25 დეკემბერი,
პარასკევი, 2020 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


# 2021 გილოცავთ! 2021

# მრავალ დამდეგ შობა-ახალ წელს!



**ძვირფასო ხობელებო,**

საქართველოს ყველა კუთხის შვილებო, დიდი სიყვარულით მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახლი წელი.

გასული წელი ისტორიას მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ურთულესი გამოწვევებით დარჩება. ახალი კორონავირუსის პანდემიამ ჩვენს წინაშე სრულიად ახალი რეალობა შექმნა და ჩვენ, ერთობლივი ძალისხმევით, ურთიერთთანადგომით, ქვეყნის ყოველმხრივი წინსვლის ტემპის მაქსიმალური გაძლიერების პარალელურად, ღირსეულად ვუმკლავდებით და დავამარცხებთ ამ ვირუსს.

მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ ნდობისთვის, იმ არჩევანისთვის, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის გადამწყვეტ მომენტში, საქმის მკეთებელ გუნდზე და პირადად ჩემზე შეაჩერეთ. მე მზად ვარ, მთელი ჩემი გამოცდილებით და რესურსებით ვემსახურო თითოეულ თქვენგანს, ჩემს უთბილეს ხობელებს და ჩემს ქვეყანას.

განსაკუთრებული მოწიწებით მინდა ასევე მოვეფერო ჩვენს მედპერსონალს და ყველა იმ ადამიანს, ვინც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, პანდემიის პირობებში შეუძლებელს აკეთებს და ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას.

ახალი წელი ახალი სასიკეთო პროექტების განხორციელების, ახალი გამარჯვებების წელი იქნება.

ბედნიერების, მშვიდობის, დაბრკოლებების წარმატებული დაძლევის, ჯანის სიმრთელის, ძეთა და ასულთა სიმრავლის, სიყვარულის, სიხარულის, ბარაქის, ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და გაძლიერების წელი შემოსულიყოს!

*ირაკლი ხახუბია,*
*საქართველოს პარლამენტის წევრი, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი.*



საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგებით პროპორციული სიით დეპუტატობას ვულოცავთ მე-9 მოწვევის საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ ირაკლი (დაჩი) ბერაიას.

ვუსურვებთ წარმატებებს მომავალ საპარლამენტო საქმიანობაში.

**ჩემო ხობელებო,** გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ ულევ სიხარულს, სიკეთესა და წარმატებებს.

მომავალი წელი მშვიდობის, კეთილდღეობის, წინსვლის და გაძლიერების წელი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისთვის და სრულიად საქართველოსთვის.

2020 წელი ყველასთვის რთული წელი იყო პანდემიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. მსოფლიო რადიკალურად შეიცვალა და უჩვეულო ვითარების მომსწრე გავხდით. კოვიდ 19-ის მიერ გამოწვეული პანდემიის შედეგებს ჩვენი ქვეყანაც განსაკუთრებული სიმწვავით განიცდის. დღეს საქართველოს ისე სჭირდება ერთსულოვნება, როგორც არასდროს.

სწორედ ერთად დგომით, დიდი სიყვარულით, მოტივაციით და, რაც მთავარია, ერთსულოვნებით ჩვენ ყველა პრობლემას გადავჭრით. მჯერა, რომ 2021 წელი იქნება პანდემიის დაძლევის და პოსტპანდემიურ გამოწვევებთან გამკლავების წელი.

ჩვენი პრიორიტეტი არის და იქნება ხალხის ინტერესების დაცვა, თითოეული ოჯახის კეთილდღეობა, ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, თითეულ თქვენთაგანთან ერთად სვლა ერთიანი საქართველოსთვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და გისურვებთ მშვიდობას, ერთსულოვნებას, ჩვენი სამშობლოს წინსვლას და კეთილდღეობას.

*ირაკლი (დაჩი) ბერაია.*



**ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი**

## ბიუჯეტი

**(პროექტი)**

9–14 გვ.

# 2021 გილოცავთ! 2021

# მრავალ დამდეგ შობა-ახალ წელს!



ჩემო ხობელებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! მშვიდობის, სიკეთის, ბარაქის, ბედნიერების და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2021 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

გასულ წელს, პანდემიის მიუხედავად ხობის მუნიციპალიტეტში წარმატებით განხორციელდა ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტები, მომავალშიც ბევრი პროექტის განხორციელება იგეგმება.

მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის თითოეული აქტივობა მიმართული იყო მოსახლეობის საჭიროებებზე, ერთერთ მთავარ საზრუნავს, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგება, გაზიფიცირება და შიდა გზების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება წარმოადგენს. დასახული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია თქვენი მხარდაჭერა და თანადგომა. განსაკუთრებით გვეიმედება ჩვენი უნიჭიერესი და დიდი პოტენციალის მქონე ახალგაზრდების.

დამდეგი ახალი წელი განსაკუთრებით მინდა მივულოცო სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, ჯარისკაცებს, პოლიციელებს, ემიგრანტებს და ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს!

მაშინ, როცა დემოკრატიული, გამჭვირვალე, ევროპული სახელმწიფო ხელისუფლებისა და ხალხის ერთობლივი ნებაა, მჯერა, რომ დასახული მიზნისკენ, დაუღალავი სწრაფვით, მუხლჩაუხრელი შრომითა და ურთიერთსიყვარულით შევძლებთ, უკეთეს პირობებში ვიცხოვროთ!

კიდევ ერთხელ გილოცავთ თითოეულ თქვენთაგანს და მთლიანად საქართველოს ახალ 2021 წელს! გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მშვიდობას, დღეგრძელობასა და კეთილდღეობას!

***გოჩა ქაჯაია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის მერი.***



ძვირფასო ხობელებო! გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! დაე, 2021 წლის შემობრძანება ყოფილიყოს თითოეული თქვენთაგანის, თქვენი ოჯახებისა და სრულიად საქართველოსთვის მშვიდობის, ერთიანობის, სიყვარულისა და კეთილდღეობის მომტანი! განსაკუთრებით მინდა მოგილოცოთ იმ ადამიანებს, რომლებიც სიდუხჭირის გამო ამ დღესასწაულს მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ხვდებით... გისურვებთ სამშობლოში მალე დაბრუნებას, წინსვლას და გაძლიერებას...

მშვიდობა და განვითარება ჩვენს სამშობლოს!

პატივისცემით

***ელიშერ ჯობავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.***

## საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების №26 მაჟორიტარული ოლქის (ხობი, ფოთი, სენაკი) შედეგები

საქართველოს პარლამენტის არჩევნები
31.10.2020 ფორმა №1-2.11.07 განკ. №282/2020
№ 26 საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი 26

| | | |
|---|---|---|
| 1 | ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში | 108498 |
| 2 | არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში | X63715 |
| 3 | მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა | X96750 |

| | | |
|---|---|---|
| 1 | (ქარტია) „თეთრები" | XXXX42 |
| 2 | „ზაქარაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" | XX2699 |
| 3 | ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | XXX509 |
| 4 | „დავით ქიქინაძე ტრიბუნა - ქდმ" | XXX348 |
| 5 | ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"" | X17459 |
| 6 | „მომავალი საქართველო" | XXXX85 |
| 7 | „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის" | XXXX17 |
| 8 | „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" | XXX941 |
| 9 | „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია" | XXXX25 |
| 10 | „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია" | XXX521 |
| 11 | „მშრომელთა სოციალისტური პარტია" | XXXX14 |
| 12 | „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის" | XXXX29 |
| 13 | „რეფორმერი" | XXXX37 |
| 14 | „ბექან გუნავა - ქართული არჩევანი" | XXXX67 |
| 16 | „ახალი ქრისტიან-დემოკრატები" | XXXX22 |
| 17 | „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო" | XXXX48 |
| 18 | „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" | XXX109 |
| 19 | მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი" | XXX262 |
| 20 | „საქართველო" | XXXX53 |
| 21 | „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი ღულაია)" | XXX230 |
| 23 | „ახალი ძალა" | XXXX52 |
| 24 | „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები" | XXX195 |
| 25 | „თავისუფალი დემოკრატები" | XXX126 |
| 26 | ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის" | XXX105 |
| 27 | ბლოკი „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი" | XX1748 |
| 28 | „ქართული ფესვები" | XXX261 |
| 30 | „შეცვალე საქართველო" | XXXX41 |
| 31 | თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა | XXX159 |
| 32 | „სახალხო პარტია" | XXXX20 |
| 33 | „ევროპულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)" | XXXX14 |
| 34 | „სოციალური სამართლიანობისათვის" | XXXX65 |
| 36 | „გირჩი" | XXX894 |
| 41 | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | X32006 |
| 42 | რეფორმატორები | XXXX64 |
| 43 | „ზვიადის გზა" (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) | XXXX68 |
| 44 | „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა" | XXX161 |
| 45 | „ევროპულ დემოკრატიული მოძრაობა" | XXXX36 |
| 46 | „გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის" | XXXX38 |
| 47 | „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია" | XXX329 |
| 48 | „არჩევანი სამშობლოსათვის" | XXXX18 |
| 49 | „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი" | XXXX18 |
| 50 | „პროგრესული საქართველო" | XXXX70 |
| 51 | „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა" | XXXX67 |
| 52 | „სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი" | XXXXX9 |
| 53 | „ტრადიციონალისტები" | XXXXX8 |
| 54 | „ანა რეხვიაშვილი - სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები" | XXXX16 |
| 55 | „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა" | XXXX68 |
| 56 | „ლელო - მამუკა ხაზარაძე" | XXX924 |
| 57 | მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო" | XXXX24 |
| 60 | „საქართველოს განვითარების პარტია" | XXXX39 |

| | | |
|---|---|---|
| 4 | ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა (მიცემულ ხმათა რაოდენობების ჯამი) | X61160 |
| 5 | ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა | XX2451 |

| №. | საარჩევნო უბანი № | ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ამ უბანში | ამ უბნებში გაცემულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა | ბათილად ცნობის საფუძველი |
|---|---|---|---|---|
| ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგები | | | | |

თავმჯდომარე ______ / ______ თავმჯდომარის მოადგილე / 

მდივანი

წევრები

შედგენის თარიღი - "11" 11 2020წ., დრო: 15 საათი 42 წუთი

| № | ოქმის მონაცემების გრაფა, რომელსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი | კომისიის წევრის სახელი და გვარი | კომისიის წევრის ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| | განსხვავებული აზრი | | |

3

2



საქართველოს პარლამენტის არჩევნები 31.10.2020 ფორმა №1-2.12.10 განკ. №282/2020

საოლქო საარჩევნო კომისიის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი 26

№ 26 საარჩევნო ოლქი

☐ განმეორებითი კენჭისყრა

☐ არჩევნების მეორე ტური

| | | |
|---|---|---|
| 1 | ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში | 108498 |
| 2 | არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში | X63715 |
| 3 | მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა | X96753 |
| 2 | გიორგი ბოკერია | XX3796 |
| 5 | მურთაზ ზოდელავა | X16608 |
| 8 | თეიმურაზი ფაჩულია | XXX880 |
| 14 | ლევან მარტიაშვილი | XXX124 |
| 19 | ირაკლი ბერაია | XXX735 |
| 20 | დავით დავითაია | XXX132 |
| 21 | თამარ ფაჩულია | XXX426 |
| 30 | მზია თამაზაშვილი | XXXX74 |
| 36 | ბორისი ყურუა | XXX707 |
| 41 | ირაკლი ხახუბია | X32916 |
| 44 | გიორგი გახოკიძე | XXX283 |
| 47 | თეიმურაზი წურწუმია | XXX430 |
| 50 | ზაალი დავითაია | XXX176 |
| 56 | გიორგი ბარამია | XXX800 |
| 61 | დათო სარსანია | XX2177 |
| 62 | აპოლონი გარუჩავა | XXX602 |
| 4 | ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა (მიცემულ ხმათა რაოდენობების ჯამი) | X60866 |
| 5 | ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა | XX2682 |

| № | საარჩევნო უბანი № | ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ამ უბანში | ამ უბნებში გაცემულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა | ბათილად ცნობის საფუძველი |
|---|---|---|---|---|
| ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგები | | | | |

☐ ოლქში ინიშნება მეორე ტური

არჩევნების მეორე ტურში გავიდა: 1. ______ (სახელი, გვარი) 2. ______ (სახელი, გვარი) 3. ______ (სახელი, გვარი) 4. ______ (სახელი, გვარი)

პარლამენტის წევრად არჩეულია ირაკლი ხახუბია (სახელი, გვარი)



შედგენის თარიღი - 11. 11 2020წ., დრო: 15 საათი 35 წუთი

თავმჯდომარე ______ / ______

თავმჯდომარის მოადგილე

მდივანი

წევრები

| № | ოქმის მონაცემების გრაფა, რომელსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი | კომისიის წევრის სახელი და გვარი | კომისიის წევრის ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| | განსხვავებული აზრი | | |

# №66 ხობის ოლქის 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

66 ხობის ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 27533. არჩევნებში მონაწილეობა 17 305-მა ამომრჩეველმა მიიღო.

შევახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 120 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 30 პარლამენტის წევრისგან.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ ურთულესი გამოწვევის, პანდემიის პირობებში შეძლო არჩევნების ორგანიზება ამომრჩევლების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში. არჩევნების დღეს დაცული იყო ყველა პირობა იმისთვის, რომ საარჩევნო უბანზე მოქალაქეებს თავისუფალ გარემოში ჰქონოდათ შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ მათი არჩევანი. აღსანიშნავია, რომ ცესკომ უზრუნველყო სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი პირების კენჭისყრაში მონაწილეობა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტში ჩატარებული არჩევნების მიხედვით და №26 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარული და პროპორციული ოქმები საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ბარიერი 9 საარჩევნო სუბიექტმა გადალახა.

| № | საარჩევნო სუბიექტის მიღებული ხმები | მიღებული ხმების რაოდენობა | % |
|---|---|---|---|
| 2 | **გიორგი ბოკერია** „ბაქრაძე,უგულავა,ბოკერია-ევროპული საქართველო“ | 1094 | 6,63% |
| 5 | **მურთაზ ზოდელავა** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერტიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“ | 4792 | 29,02% |
| 8 | **თეიმურაზ ფაჩულია** „დავით თარხან-მოურავი,ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ | 219 | 1,33% |
| **14** | **ლევან მარტიაშვილი** „ბექან გუნავა- ქართული არჩევანი“ | **34** | **0,21%** |
| 19 | **ირაკლი ბერაია** „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსი“ | 395 | 2,39% |
| 20 | **დავით დავითაია** „საქართველო“ | 29 | 0,18% |
| 21 | **თამარ ფაჩულია** „თავისუფალი საქართველო(კახა კუკავა, გიორგი წულაია) | 85 | 0,51% |
| **30** | **მზია თამაზაშვილი** „შეცვალე საქართველო“ | **21** | **0,13%** |
| 36 | **ბორისი ყურუა** „გირჩი“ | 93 | 0,56% |
| 41 | **ირაკლი ხახუბია** „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ | 8747 | 52,98% |
| 44 | **გიორგი გახოკიძე** „ქართული იდეა“ | 46 | 0,28% |
| 47 | **თეიმურაზ წურწუმია** „ზვიად ძიძიგური-საქართველოს კონსერვატიული პარტია“ | 94 | 0,57% |
| 50 | **ზაალ დავითაია** „პროგრესული საქართველო“ | 24 | 0,15% |
| 56 | **გიორგი ბარამია** „ლელო- მამუკა ხაზარაძე“ | 247 | 1,50% |
| 61 | **დათო სარსანია** „დამოუკიდებელი“ | 559 | 3,39% |
| 62 | **აპალონი გარუჩავა** „დამოუკიდებელი“ | 32 | 0,19% |

| საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის მონაწილე საარჩევნო სუბიექტები | მიღებული ხმათა რაოდენობა (ხობ | % |
|---|---|---|
| №1 – (პარტია) თეთრები | 15 | 0,09% |
| №2 – ბაქრაძე,უგულავა, ბოკერია–ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის | 804 | 4,83% |
| №3 – ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | 187 | 1,12% |
| №4 – დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ | 123 | 0,74% |
| №5– საარჩევნო ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" | 4893 | 29,41% |
| №6 – მომავალი საქართველო | 22 | 0,13% |
| №7 – თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის | 5 | 0,03% |
| №8 – დავით თარხან-მოურავი,ირმა ინაშვილი–საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | 245 | 1,47% |
| №9 – გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია | 4 | 0,02% |
| №10 – შალვა ნათელაშვილი–საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 150 | 0,90% |
| №11 – მშრომელთა სოციალისტური პარტია | 8 | 0,05% |
| №12 – მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის | 8 | 0,05% |
| №13 – რეფორმერი | 4 | 0,02% |
| №14 – ბექან გუნავა - ქართული არჩევანი | 21 | 0,13% |
| №16 – ახალი ქრისტიან-დემოკრატები | 3 | 0,02% |
| *№17 – ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო* | *7* | *0,04%* |
| №18 – მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს | 14 | 0,08% |
| №19 – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსი | 205 | 1,23% |
| №20 – საქართველო | 18 | 0,11% |
| №21 – თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია) | 62 | 0,37% |
| №23 – ახალი ძალა | 8 | 0,05% |
| №24 – ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები | 40 | 0,24% |
| №25– თავისუფალი დემოკრატები | 28 | 0,17% |
| №26 – ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“ | 9 | *0,05%* |
| №27–საარჩევნო ბლოკი გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი | 409 | *2,46%* |
| *№28 – ქართული ფესვები* | *14* | *0,08%* |
| №30 – შეცვალე საქართველო | 5 | 0,03% |
| №31 – თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა | 66 | 0,40% |
| №32 – სახალხო პარტია | 2 | 0,01% |
| №33 – ეროვნულ დემოკრატიული პარტია (ედპ) | 2 | 0,01% |
| №34 – სოციალური სამართლიანობისათვის | 4 | 0,02% |
| №36 – გირჩი | 126 | 0,76% |
| №41 – ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 8526 | 51,25% |
| №42 – რეფორმატორები | 21 | *0,13%* |
| №43 – ზვიადის გზა (ღმერთის,სიმართლისა და ქვეყნისათვის) | 24 | *0,14%* |
| *№44 – ლევან ჩაჩუა,გურამ ფალავანდიშვილი-ქართული იდეა* | *17* | *0,10%* |
| №45– ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა | 12 | 0,07% |
| №46 – გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის | 28 | 0,17% |
| №47 – ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია | 193 | 1,16% |
| №48 – არჩევანი სამშობლოსათვის | 4 | *0,02%* |
| *№49 – ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი* | *4* | *0,02%* |
| №50 – პროგრესული საქართველო | 6 | 0,04% |
| №51–მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა | 15 | 0,09% |
| №52 – სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი | 3 | 0,02% |
| №53 – ტრადიციონალისტები | 1 | *0,01%* |
| *№54–ანა რეხვიაშვილი-სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები* | *3* | *0,02%* |
| №55– ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა | 8 | 0,05% |
| №56 – ლელო - მამუკა ხაზარაძე | 250 | 1,50% |
| №57 – მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო" | 1 | 0,01% |
| № 60 – საქართველოს განვითარების პარტია | 9 | 0,05% |

# მიზანი–ქალაქის, როგორც სასიცოცხლო არტერიის განვითარება

## კობა თუთბერიძე–ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქალაქ ხობში.



უპირველესად ვულოცავ ჩემს საქართველოს, ჩემს ხობს დამდეგ შობა-ახალ წელს! ვუსურვებ ჩემს ერს ჯანმრთელობას და გამძლეობას კაცობრიობისთვის ამ ძნელბედობის ჟამს.

კორონავირუსის პანდემიამ, მისი მასშტაბების გათვალისწინებით, შეძლო დაეტოვა დიდი ნაიარევი გამანადგურებელი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების სახით.

თითქოს მსოფლიო გაჩერდა, დაბნეულია კაცობრიობა და უცნობია, როდის დავუბრუნდებით ცხოვრების ჩვეულ რეჟიმს. თუმც, მე მჯერა, რომ ეს დრო მალე დადგება.

მიუხედავად პანდემიისა, როგორც მთელს ქვეყანაში, ისე ჩვენს მუნიციპალიტეტში გრძელდება იმ პროექტების განხორციელება, რომელიც დაისახა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ამ გადასახედიდან მე, როგორც მერის წარმომადგენელი, შევეხები ჩვენთან, ქალაქში განხორციელებულ პროექტებს.

ეს პროექტები მოცულობითია და მათი მიზანი ქალაქის, როგორც სასიცოცხლო არტერიის განვითარებაა. იცვლებიან თაობები და ყველა ნორმალური მოქალაქის მოვალეობაც, სურვილიც და ძალისხმევაც მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ საკუთარი ქალაქი იყოს უკეთესი, გემოვნებით აშენებული, რომ მომავალი თაობები ამაყობდნენ მათი წინა თაობების შექმნილით.

შემიძლია ვთქვა, რომ ბოლო ხანებში უკეთესობისკენ შეიცვალა ქალაქის ინფრასტრუქტურა. ეს ცვლილებები საჭიროც იყო და დროულიც, რადგან მოქალაქეებს, ჰქონოდათ ნორმალური შრომისა თუ დასვენების პირობები.

ამ ერთ წელიწადში ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა. გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ შენობაში ადგილობრივი მოსახლეობას 200-ზე მეტი სერვისით ემსახურებიან. აქ განთავსებულია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც ელექტრონულ წიგნებთან ერთად ბეჭდური გამოცემებიც არის დაცული. ცენტრში ხელმისაწვდომია კომპანიების „მაგთისა“ და „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებაც.

გაიხსნა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ახალი შენობა.



ქალაქში არსებულ მრავალბინიან კორპუსებსა თუ კერძო სახლებში აპრილიდან მცხოვრებლები ინდივიდუალური გამრიცხველიანების შედეგად სტაბილურ წყალმომარაგებაზე გადავიდა, რომელიც „გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანიამ შეასრულა.



ქალაქში იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა. ხობში ფუნქციონირებას იწყებს ცხოველის, ფრინველის, თევზისა და ლოკოკინას კომბინირებული საკვების საწარმო.



დასრულდა ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მე-2 ეტაპი. პარკის ტერიტორიაზე გამწვანების მიზნით დაირგო სხვადასხვა სახეობის ნერგები. გაისად იგეგმება კეთილმოწყობის მე-3 ეტაპი, რომელიც თამარ მეფის სანაპიროს და მის მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავს და ქალაქის ეს ნაწილიც კეთილმოეწყობა. მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო პარლამენტის წევრს ირაკლი (დაჩი) ბერაიას–იდეის ავტორსა და სულისჩამდგმელს, ადგილობრივ ხელისუფლებას და ყველა იმ ჭეშმარიტ ხობელს, რომლებიც იღწვიან ქალაქის განვითარებისთვის.

საავტომობილო დეპარტამენტის მიერ ხობის მუნიციპალიტეტში და მათ შორის ქ. ხობში ჩატარდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

აგვისტოს ომში დაღუპული გმირის დათა ხურცილავას სახელობის სპორტულ მინისტადიონს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

როგორც ყოფილი სპორტსმენი არ შემიძლია, არ შევეხო ქალაქის სპორტულ ინფრასტრუქტურას. ეს ხომ საფუძველია მომავალი თაობის ჯანსაღად და სწორად განვითარებისა. იმედი მაქვს, დღის წესრიგში არსებული საკითხის გადაწყვეტით ქალაქს მალე შეემატება მულტიფუნქციური ცენტრი. ამით ახდება სხვადასხვა თაობების ოცნება.

ც. დადიანის ქ.№185-ში მდებარე შენობას (ყოფილი „რაპოს“ შენობა) ჩაუტარდა დაზიანებული სახურავისა და ფასადის რეაბილიტაცია. ეს შენობა ქალაქს განსაკუთრებულ იერ-სახეს სძენს და ჯდება მის პანორამაში.

გარე განათება დამონტაჟდა ნინოშვილის ქუჩაზე. მომავალი წლიდან უნდა მოხდეს დარჩენილ ქუჩებზე გარე განათებების დამონტაჟება, ახალი ქუჩების მოასფალტება და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.

კოლხეთის ქუჩაზე არსებული დიდი მოცულობის სანიაღვრე არხი ამოიწმინდა, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია არ ამოწმენდილა და წარმოადგენს ქალაქის განტვირთვის ძირითად არტერიას.

ეს არის არასრული სია იმ პროექტებისა, რომელიც 2020 წელს ქალაქ ხობში განხორციელდა.

მჯერა და დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალ 2021 წელს ჩვენი ქალაქი უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი იქნება.

ინტერვიუ



*მცირე დოსიე:*

*ივანე ჯემალის ძე ჯავახიშვილმა 2006 წელს დაამთავრა ხობის №1 საშუალო სკოლა, 2012 წ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. სწავლა განაგრძო ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგია-ბიოტექნოლოგიის მიმართულებით, გაიარა სარეზიდენტოპროგრამა რეანიმაცია-ანესთეზიის მიმართულებით. ამჟამად მცხეთის სამედიცინო ცენტრში, რეანიმაცია-ანესთეზიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს.*

*იგი 31 წლისაა, დასაოჯახებელი. ცხოვრობს ქალაქ თბილისში.*

# „ყველაფერს თავდაუზოგავი შრომა სჭირდება...“

***მოგესალმებით, რატომ გადაწყვიტეთ ექიმობა?***

–მოგესალმებით, მივესალმები თქვენს მკითხველს. ექიმობა ბავშვობიდან მინდოდა, მომწონდა ეს პროფესია, შემდეგ გარკვეული პერიოდი გადავიფიქრე, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ბავშვობიდან არჩეულ მიზანს მივყევი და არ ვნანობ, ალბათ, ამ პროფესიის გარდა, სხვა პროფესიით ვერასდროს ვიმუშავებდი.

***გეტყობათ, რომ ხართ მიზანდასახული ადამიანი და აღწევთ კიდეც მიზნებს, როგორ ახერხებთ ამას?***

–თავდაუზოგავი შრომის ფასად, დღევანდელ სამყაროში ყველანაირ წარმატებას ძალიან ბევრი შრომა სჭირდება. რაც დრო გადის და საზოგადოება ვითარდება, ცოდნა მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება. თუ საკუთარი საქმის კარგი მცოდნე ხარ, დღეს უკვე დახმარების გარეშეც ადვილად შეგიძლია მიაღწიო წარმატებას. უბრალოდ, ამ ყველაფერს მოთმინება და თავდაუზოგავი შრომა სჭირდება.

***ამჟამად მუშაობთ მცხეთის სამედიცინო ცენტრში, ეს თქვენი პირველი სამუშაო ადგილია?***

–არა, მანამდე ვმუშაობდი სხვადასხვა კლინიკებში, სადაც ბევრი გამოცდილება დავაგროვე. მას შემდეგ, რაც საქართველოში კოვიდის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, დავიწყე მუშაობა მცხეთის სამედიცინო ცენტრში, სადაც რეანიმაცია-ანესთეზიის დეპარტამენტს ვხელმძღვანელობ. ჩვენი კლინიკა ჯერ კიდევ აპრილიდან ჩაერთო კოვიდ ინფიცირებული პაციენტების მკურნალობაში და ამ მომენტამდე წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

***როგორ პაციენტებთან გიწევთ მუშაობა. როგორია თქვენი დღის რეჟიმი?***

–ჩვენი კლინიკა, როგორც ერთ-ერთი პირველი კლინიკა კოვიდ პაციენტების მკურნალობაში, გადასულია მძიმე პაციენტების მიღებაზე და მათ მკურნალობაზე. რაც შეეხება რეჟიმს, თითქმის ყოველდღიურად მიწევს კლინიკაში ყოფნა და კოვიდ პაციენტებთან მუშაობა. ზოგჯერ რამდენიმე მორიგეობის გადაბმაც, გააჩნია პაციენტების რაოდენობას და სიმძიმეს.

**როგორი ვითარებაა თქვენს კლინიკაში?**

–სამწუხაროდ გვყავს ძალიან მძიმე პაციენტები, ფილტვების მაღალი ხარისხის დაზიანებით, უმეტესობა მართვით სუნთქვაზე განაგრძობს მკურნალობას, მაგრამ საბედნიეროდ, გვყავს პაციენტები, ვინც დაამარცხა აღნიშნული ვირუსი, შევძელით მართვითი სუნთქვის აპარატიდან მოხსნა და გამოჯანმრთელებულები გაეწერნენ კლინიკიდან.

**რამდენად ადეკვატურად აღიქვამენ პაციენტები კორონავირუსის პანდემიის საფრთხეს?**

–პაციენტებთან, ვისთანაც მაქვს ურთიერთობა, საკუთარი ინფიცირებიდან გამომდინარე, უკვე რეალურად უდგება აღნიშნულ საფრთხეს, რადგან საკუთარი ჯანმრთელობის ფასად გამოსცადა ამ ვირუსის საშიში ხასიათი. სამწუხაროდ, ზოგჯერ კლინიკაში მომართვის დაგვიანებული შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა, ასეთ შემთხვევაში ექიმები უძლურები ვართ.

***თქვენ რას იტყოდით კოვიდ-19-ზე?***

–მინდა თქვენს მკითხველს ვუთხრა, რომ ძალიან საშიში და არაპროგნოზირებადი ვირუსია, ორგანიზმში მისი მოქმედების მექანიზმი, ჯერ კიდევ არ არის სრულად შესწავლილი, ამ ეტაპზე გამოვლენილია რამდენიმე გვერდითი მოვლენა, რასაც ეს ვირუსი იწვევს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თითქოს ამ ვირუსის ხასიათი და მკურნალობა ვისწავლეთ. თითქმის ყოველ თვე იცვლება მკურნალობის სქემა და პროტოკოლი, ამიტომ ჩემი აზრით მთავარი აღმოჩენები ჯერ კიდევ წინ გვაქვს.

***ჰიპოკრატე ამბობდა, რომ „გონება საუკეთესო მკურნალია“, როგორ ფიქრობთ, პაციენტის გონებას გულისხმობდა, ექიმის გონებას თუ ორივეს?***

–ალბათ ორივეს, გონიერ ექიმს და ოპტიმისტურად განწყობილ პაციენტს. პაციენტის ემოციური მდგომარეობა დიდ როლს თამაშობს დაავადების მიმდინარეობასა და მკურნალობაზე.

***რა არის თქვენი მთავარი მოტივატორი ცხოვრებაში?***

–ალბათ ის რასაც ექიმები ვაკეთებთ, დახმარება და სიცოცხლის გახანგრძლივება ადამიანებისთვის.

**პროფესიიდან გამომდინარე, დროის ძირითადი ნაწილს მუშაობაში ატარებთ. როგორ განიტვირთებით?**

–როცა თავისუფალი დრო მაქვს, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებს ვსტუმრობ, ისტორიულ ადგილებს ვეცნობი და ვათვალიერებ. მინდა, რომ კარგად ვიცნობდე ჩემს ქვეყანას.

***პირველი სამუშაო დღე რომ გაიხსენოთ?***

–საკმაოდ სტრესული დღე, ბევრი მძიმე პაციენტი და უამრავი საქმე, რომელიც საკმაოდ დიდი ტვირთი აღმოჩნდა პირველი დღისთვის.

***მთავარი თვისება, რომელიც უნდა ახასიათებდეს ექიმს?***

–პირველ რიგში, ექიმმა არ უნდა ავნოს პაციენტს. ბიოეთიკის სახელმძღვანელოში ერთი თავი ეძღვნება სწორედ ამ ფრაზას „არ ავნო“, ასევე უნდა გააჩნდეს მოთმინების და შრომისმოყვარეობის უნარი, რადგან თითოეული პაციენტი დიდ ენერგიას და შრომას მოითხოვს.

***რა რჩევას მისცემდით დამწყებ მედიცინის მუშაკებს?***

–საკმაოდ შრომატევადი პროფესიაა. მოემზადონ მუდმივი სწავლისთვის და დაუსრულებელი შრომისთვის. თუ ამისთვის მზად არ არიან და არც დარწმუნებულები თავის არჩევანში, ვურჩევ, რომ კარგად დაფიქრდნენ.

***რას გვეტყოდით ხობში გატარებულ წლებზე? და რას ეტყოდით ხობელებს?***

–ხობში გატარებულ წლებზე მხოლოდ დადებითი შემიძლია ვილაპარაკო. ჩემი ბავშვობა ხობში გავატარე და ყველაფერი სასიამოვნოდ მახსენდება. ბავშვობის წლები ხომ ყველაზე ტკბილია ადამიანისთვის. ხობელებს კი ჯანმრთელობა და დღეგრძელობა მინდა ვუსურვო.

***სამომავლო გეგმები, ოცნება და მიზანი?***

–ამ კითხვამ ცოტა დამაფიქრა. სამომავლო გეგმებზე ჯერ არ მიფიქრია, ამჟამად დაკავებული ვარ ჩემი პროფესიით და საკუთარი თავის რეალიზაციით, ალბათ კოვიდ პანდემიის შემდეგ კვალიფიკაციას ავიმაღლებ და დოქტორის ხარისხის დაცვაზე ვიფიქრებ.

***გისურვებთ წარმატებებს...***

**ესაუბრა
ირინა ფილიპია.**

## 16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ

ხობის მუნიციპალიტეტის მერია შეუერთდა 16 დღიან კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ.

ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მგრძნობელობის გაზრდის მიზნით, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი მსოფლიო მასშტაბის კამპანია 1991 წლიდან ყოველწლიურად იმართება 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით.

პანდემიით გამოწვეული კრიზისის მიუხედავად, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტად რჩება. ამისათვის კი საზოგადოებისა და თითოეული ადამიანის დროული ჩართულობაა საჭირო. ძალადობაზე რეაგირება, მსხვერპლის დახმარება და პრევენცია თითოეული ჩვენგანის, მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობაა და იმისთვის, რომ შედეგი მივიღოთ, აქტიურად



უნდა იმოქმედოს როგორც სახელმწიფომ, ისე თითოეულმა მოქალაქემ.

კამპანიის ფარგლებში ჩავატარე ქუჩის გამოკითხვა, რათა გამეგო ხობის მოსახლეობის აზრი შემდეგ საკითხებზე:

როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როცა ის ხდება ძალადობის მსხვერპლი და როგორ მოიქცეოდნენ თვითონ, რომ შესწრებოდნენ ძალადობას. გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ საუკეთესო გამოსავალი 112-ზე დარეკვაა.

არის შემთხვევები, როცა მსხვერპლს არ შეუძლია დარეკვა, ამ შემთხვევაში 112- ის მობილური აპლიკაციის მეშვეობით მას შესაძლებლობა ეძლევა, ღილაკზე დაჭერით ე.წ ჩუმი განგაში (sos) გაგზავნოს 112-ის ცენტრში. მობილური აპლიკაცია ე.წ ჩუმი განგაშის გაგზავნისას ავტომატურად ადგენს მოქალაქის ადგილსამყოფელს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში დაიბეჭდა ბუკლეტი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია 112ის აპლიკაციის, SOS ღილაკის და ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზის 116 006 ის შესახებ. ბუკლეტი დაურიგდა ხობის მოსახლეობას.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, 2020 წლის პანდემიის პერიოდში ოჯახში ძალადობის სტატისტიკა მსოფლიოს მასშტაბით გაიზარდა 1/3 ით. ჩვენ დავინტერესდით სტატისტიკის კუთხით რა მდგომარეობაა ხობის მუნიციპალიტეტში და ამ თემაზე გავესაუბრეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხობის რაიონული სამმართველოს უფროსს, ბატონ დავით პაპავას. მან მოგვახსენა, რომ პანდემიის პერიოდში ოჯახში ძალადობის სტატისტიკა არ შეცვლილა.

***თამუნა სიჭინავა,
ხობის მუნიციპალიტეტის მერიის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში.***

# ურთის მთა და სიძველეები

ხობის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, მდინარეებს ჯუმსა და ხობისწყალს შორის ურთის მთაბორცვებია, მისი სიგრძე 12 კმ-ია, სიგანე-3 კმ-დე, აბსოლუტური სიმაღლე 467 მ-ია. სიტყვა „ურთას" მნიშვნელობა გარკვეული არ არის, ურთა ქვია სოფლებს ზუგდიდისა და ოჩამჩირეს მუნიციპალიტეტებში, თურქეთში (ისტორიულ მესხეთში-ჩილდირის ტბასთან).

მასზე შეფენილია ხობის მუნიციპალიტეტის სოფლები–ხეთა, ხამისქური, პირველი მაისი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლები აბასთუმანი, ურთა, ცაცხვი, ცაიში. ურთის მთას სამხრეთით ცენტრალური საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალი მიუყვება.

აქ ბევრია მღვიმეები, ძაბრები, გამოქვაბულები. მცირე ზომის განმარხებულ სხეულებსაც შეხვდება მნახველი. „პაპანწყვირეს" ტბა და მისი შემოგარენი ძალიან ლამაზია, მდებარეობს სოფელ ხეთაში, ურთას მთის სამხრეთ კალთაზე, სენაკი-ზუგდიდის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალის მარჯვენა მხარეს, გზიდან ერთი კილომეტრის დაშორებით. ტბა კარსტული წარმოშობისაა. ხობიდან ტბამდე 10,5 კილომეტრია.

წინამდებარე სტატიაში წარმოგიდგენთ სამეცნიერო ტურისტული და რელიგიური მნიშვნელობით გამორჩეულ კულტურული მემკვიდრეობის რამდენიმე ობიექტს:

**„ჯეგეთა"** წმ.გიორგის სახელობის სალოცავი არქიტექტურული კომპლექსია. მდებარეობს სოფელ ხეთაში ურთას მთის ყველაზე მაღალ მწვერვალზე. იგი შედგება წმ. გიორგის სახელობის პატარა სამლოცველოსგან, პალატისა და სხვა ნაგებობათა ნაშთებისაგან. მანძილი ხობიდან 16 კილომეტრია. ი. ყიფშიძის განმარტებით „ჯეგე" წმინდას ნიშნავს. პროფესორ პაატა ცხადაიას მიხედვით ჯეგეთა წმინდა მთას, ამ შემთხვევაში წმ. გიორგის მთას ნიშნავს. ს. მაკალათია „ჯეგეთას" ჯეგე-მისარის სალოცავს უწოდებს, რომელიც ქრისტიანობის დამყარების შემდეგ წმ. გიორგიმ შეცვალა. აქ შეინიშნება ანტიკური და ფეოდალური ხანის არტეფაქტები. აქვე მრავალი მღვიმე და ვერტიკალური შახტია. აქედან ხელისგულივით მოჩანს კოლხეთის ბარი, შავი ზღვა, კავკასიონი. სატაძრო დღესასწაულია 23 აპრილი-გიორგობა. ამ დღეს აქ მრავალი ადამიანი იკრიბება. ძველად მომლოცველები ამ დღეს სალოცავს შუბებს სწირავდნენ. ჯეგეთას სალოცავის შესახებ ნიკო მარის მიერ ჩაწერილი ხალხური გადმოცემით, აქ ეკლესიაში წმ. გიორგის შუბი ინახებოდა. აქვე ყოფილა დიდი რკინის მშვილდი, რომელშიც მლოცველებს ატარებდნენ. ხალხს სწამდა, რომ ვინც მშვილდში გაივლიდა, ის ცოდვებისგან იწმინდებაო.

ჯაჯუ ჯორჯიკიას მიხედვით ამ სალოცავს უკავშირდება „გადმოცემა ქვის ქალზე", რომლის მიხედვითაც ყმაწვილ ქალ-ვაჟს ერთმანეთი ჰყვარებიათ, ვაჟი მტერთან ბრძოლაში დაღუპულა, მწუხარების გამო ქალი გაქვავებულა.

**„მაჩხომერი"** არქიტექტურულ კომპლექსს წარმოადგენს. იგი მდებარეობს სოფელ პირველ მაისში სენაკი-ზუგდიდის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალიდან ერთი კილომეტრის დაშორებით. მანძილი ხობიდან 5.6 კილომეტრია. აქ არქეოლოგიური სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით 2015-2020 წლებში მიმდინარეობდა. სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რევაზ პაპუაშვილი, მონაწილეობდნენ არქეოლოგები-ნანა პაპუაშვილი, თენგიზ ესებუა, დავით ნასყიდაშვილი, იტალიელი არქეოლოგი ემანუელ ინტაგლიატა. შეიძლება ითქვას, რომ „მაჩხომერზე" ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა დაადასტურა ამ არქიტექტურული კომპლექსის მნიშვნელობა ზოგადად ქართული არქეოლოგიისთვის. კონკრეტულად კი გამოამზეურა არაერთი პირველხარისხოვანი წყარო ადრებიზანტიური ხანის ლაზიკის, იგივე ეგრისის ისტორიისა და კულტურის უფრო დეტალური შეცნობისა და გააზრებისათვის. ამ თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებულია ის თერთმეტი ბერძნულწარწერიანი არტეფაქტი, რომელიც შენობის ნანგრევებში სხვადასხვა ადგილზე ალმოჩნდა და VI საუკუნით დათარიღდა. ისინი თარგმნა ბიზანტიოლოგმა ანდრეი ვინოგრადოვმა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფაქიზად ნათალ, თხელ კირქვის ფილებზე გრავირების წესით შესრულებული მცენარეული, ზოომორფული და რელიგიური (ჯვრები) ხასიათის გამოსახულებათა სემანტიკური და იკონოგრაფიული გამოკვლევები. მაჩხომერის შენობის ასაგებად ჯიშის ქვებია გამოყენებული. ნაწილი ადგილობრივია (ქვიშაქვები, კირქვები, კონგლომერატები), ნაწილი შემოტანილი (მარმარილო, კვარციტები, წითელი ქვები). ასევე შეიძლება ითქვას მინაზე და მინის ნაწარმზეც. ასე, რომ საკვლევი ბევრია. ჯერ-ჯერობით ამ შესანიშნავი არქეოლოგიური ობიექტის მხოლოდ მცირე ( დაახლოებით 15%) ნაწილი თუ არის გათხრილი. დანარჩენი კი უფრო მეტსა და მნიშვნელოვან სიახლეს გვპირდება.

„მაჩხომერი" რომ არაჩვეულებრივი, საინტერესო და პირველხარისხოვანი ძეგლია, ამას მოწმობს მის შესახებ გამოქვეყნებული წერილები, რომლების დაიბეჭდა გერმანიაში გამომავალ ჟურნალში–„ZEITSCRIFT FUR PAPYROLOGIE UND EPIGRAPIK" და პოლონეთში გამომავალ ჟურნალში–PRO GEORGIA JOURNAL KARTVELOLOGICAL STUDIES".

აქ ალმოჩენილი არტეფაქტები დაცულია ხეთის მუზეუმში.

**წმ. სოფიოს** არქიტექტურული კომპლექსი მდებარეობს სოფელ პირველ მაისში, მდინარე მუნჩიას მარჯვენა მხარეს ლამაზ ბორცვზე. მანძილი ხობიდან 6.8 კილომეტრია. ამ სალოცავს ხალხი **„აია სოფიას"**, ხანდახან „ჯვარსოფიას" უწოდებს. იქვე გამოქვაბულია. ტაძარი ძველ ნატაძრალზე დგას, რასაც მოწმობს ეზოში მიმოფანტული და თვით ნაგებობაში უსისტემოდ ჩაშენებული ჩუქურთმიანი ლოდები. ტაძრის ეზოში და მის შემოგარენში ფიქსირდება ანტიკური და ფეოდალური ხანის არტეფაქტები. ტაძრის სამხრეთით ალმოჩნდა ოქტავიანე ავგუსტუსის ვერცხლის მონეტა. გადმოცემით ბერძნებს აქედან მოუპარავთ წმ. სოფიოს ხატი, ისინი საბერძნეთში ზღვით ბრუნდებოდნენ, ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდნილა, ბერძნებს ღმერთისთვის უთხოვიათ ოღონდ გადაგვარჩინე და დავბრუნდებით, ტაძარს ვაზის კარებს შევწირავთო. ამ ადგილს ბევრი რელიგიური და სიძველის მოყვარული სტუმრობს.

**ხეთას წმ. მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ეკლესია (მიქანგარიო) ტაძარი** მდებარეობს სოფელ ხეთაში, მაღალ გორაკზე (ზღვის დონიდან 91 მ.), სენაკი-ზუგდიდის ავტომაგისტრალის მარჯვენა მხარეს, ამ ადგილს „ოხვამეკარსაც" ეძახიან. ეკლესია საკმაოდ დიდია, სიგრძე 17, ხოლო სიგანე–10.50 მ-ია. აშენებულია ადგილობრივი კირქვით, კუთხეები ამოყვანილია კარგად გათლილი მართკუთხა კვადრებით, კედლები კი, ფლეთილი კირქვით.

ნაგებობას დასავლეთით მიშენებული აქვს ნახევარწრიული თაღებიანი ოთხკუთხა სვეტებზე დაყრდნობილი ორსართულიანი სამრეკლო, რომელიც ფრონტონით გვირგვინდება. მასზე კირქვით ჯვრის გამოსახულებაა ამოყვანილი, რომელზედაც კი, 1885 წელი წერია, რაც ამ ტაძრის აშენების თარიღზე მიგვითითებს. პროფესორ პაატა ცხადაიას მიხედვით, ამ წელს ეკლესია აშენებულა იონა მეუნარგიასა და იპოლიტე ვართაგავას მიერ. ამ ეკლესიასთან აღდგომის შემდგომ, ახალკვირის მომდევნო ორშაბათს, ათასობით ადამიანი იკრიბება „მიქანგარიობის".

დღესასწაულზე. „მიქანგარიოს"-წმ. მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს შინაური პირუტყვის გამრავლებას შესთხოვენ. შესაძლოა, „მიქანგარიობის" ფესვები სათავეს წინაქრისტიანულ ხანაში იღებდეს და მირსას-მისარონის კულტს უკავშირდებოდეს.

**ჯახუთის ჯიხა**-ციხის ნამდვილი სახელი უცნობია და რადგან მდებარეობს სოფელ პირველი მაისის ჯახუთის უბნის ბოლოში მდინარე ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ასე პირობითად ვუწოდებთ. აქვე, ორასიოდე მეტრში, ხობისწყალს მდინარე ჭანისწყალი ერთვის. ციხე სტრატეგიულ ადგილზეა ალმართული. მის შესახებ რაიმე სახის ისტორიული ცნობები არ არსებობს. ციხის სამხრეთით, მღვიმიდან წყალი გამოედინება, რომელსაც „ოხარკალაიას"–„ოკარკალაიას" ეძახიან, რაც რაკრაკას ნიშნავს.

ციხეს ორიგინალური გალავანი აქვს, ეზოს კიდეებზე 70 სანტიმეტრის სიმაღლის კირქვიან-დუღაბიან კედელზე ორ რიგად დაწყობილია ნახევრადწრიული ფორმის კირქვისაგან გამოთლილი ლოდები, რიგთაშორისი ამოვსებულია წვრილი კირქვის ნატეხებითა და კირხსნარით. კედლის სისქე ერთ მეტრს, ლოდების სიგრძე 1.5-დან 4.5 მეტრამდე აღწევს, სისქე-0.30, სიმაღლე კი-დაახლოებით 1.30 მეტრია.

2011 წელს ციხე დაათვალიერეს არქეოლოგებმა რევაზ და ნანა პაპუაშვილებმა. ამ ლოდების შესახებ რ. პაპუაშვილი ამბობს: „ოვალური ფორმის ლოდები ციკლოპური ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აქვე ძველკოლხური ნამოსახლარების კვალია, არ არის გამორიცხული აქ ადრე ციკლოპური ნაგებობა ყოფილიყო, რომლის დეტალები შემდგომ ადრეშუასაუკუნეების ციხის მშენებლობისას გამოიყენეს, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. ციხე საფუძვლიანად შესასწავლია".

**ყურუმულიას „ჯიხა"** ციხე სოფელ პირველ მაისში, მდინარეების მუნჩიასა და ჩხაიას შეერთების ადგილზე, მუნჩიის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. არქიტექტორს ბუნებრივი პირობები კარგად გამოუყენებია. ციხეს სამი მხრიდან გარს უვლის მდინარე ჩხაია. ციხე კეტავდა ვიწრო ხევს, საიდანაც გზა დღევანდელ სოფელ აბასთუმანში გადადიოდა.

ციხესთან შემთხვევით ნაპოვნია კოლხური თეთრი და ადრეფეოდალური ხანის რკინის ისრისპირები. 1915 წლის გაზეთ „სახალხო ფურცელის" ცნობით, ეს ციხე „ძალიან ძველი უნდა იყოს, რადგან ნანგრევებში უნახავთ ბრინჯაოს იარაღები".

**ხეთის ჯიხა-ციხე-სიმაგრე** მდებარეობს სოფელ ხამისკურში, სენაკი-ზუგდიდის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს. მანძილი ხობიდან 11 კილომეტრია. მას ადგილობრივი მოსახლეობა „ჯიხას" უწოდებს. ფორმით მრგვალია, ზომით საკმაოდ დიდი, მისი შიდა ეზოს ფართობი დაახლოებით 4500 კვ. მეტრია. ციხეს შემოსასვლელი ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან აქვს, აქ კოშკი გარედან ყოფილა მიდგმული, რომელიც საფუძვლამდეა დანგრეული. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ძლიერ დაზიანებულია, ხოლო დასავლეთი-საფუძვლამდეა დანგრეული. გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში შეიმჩნევა გაურკვეველი ნაგებობის მინაშენის კვალი. კოშკები ძირითადად ნაგებია ადგილობრივი კირქვით, გამოყენებულია, აგრეთვე, დიდი ზომის რიყის ქვებიც. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად შესასვლელში კოშკის ნაშთები გამოვლინდა. ციხის გარეთ, სამხრეთ-დასავლეთით, რამდენიმე მეტრში, გამოდის წყარო. მიუხედავად ძლიერი დაზიანებებისა, ციხე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

**ხობის (ხეთის)** მხარეთმცოდნეობისა და საბრძოლო დიდების მუზეუმი სოფელ ხეთაში, სენაკი-ზუგდიდის რკინიგზის მონაკვეთის მარჯვენა მხარეს, წმ. მთავარანგელოზთა ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს მანძილი ხობიდან 9 კილომეტრია.

სამუზეუმო კომპლექსის მშენებლობა რაიონის იმდროინდელი ხელმძღვანელის ნუგზარ ნადარაიას თავკაცობით დაიწყო. მუზეუმი 1985 წლის 19 მაისს გაიხსნა. იგი შედგება აგურითა და კირქვით ნაგები შენობის, II მსოფლიო ომში დაღუპული ამირან ლატარიას ოდასახლისა და თეატრონისგან, რომელიც ხუთი ათასამდე ადამიანს იტევს. ეზოს ცენტრში, უკანა მხარეს, ხელოვნური ბორცვია, რომელსაც „ხსოვნის კუნძული" ჰქვია, იგი ეძღვნება II მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას. 1995 წლამდე მუზეუმი მემორიალური ტიპისა იყო, შემდგომ იგი გადაკეთდა „მხარეთმცოდნეობისა და საბრძოლო დიდების" მუზეუმად.




წარმოდგენილი ექსპონანტების ქრონოლოგია მოიცავს საზოგადოების განვითარების ყველა პერიოდს. ადგილობრივთან ერთად წარმოდგენილია იმპორტული (ბერძნული) მასალებიც. მუზეუმში დაცულია სხვადასხვა პერიოდის მონეტები, მათ შორის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მონეტა-კოლხური თეთრი (ძვ. წ. VI-III ს.). მუზეუმში გამოფენილია ძველებური საბრძოლო იარაღები, აგრეთვე XIX – XX საუკუნეების ეთნოგრაფიული მასალა: რომელიც ასახავს ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, სამეურნეო საქმიანობას: მიწათმოქმედებას, ხელოსნობას, ნადირობას, თევზაობას... მუზეუმში წარმოდგენილია ადგილობრივი წარმომავლობის საზოგადო მოღვაწეების თედო სახოკიას, პიერ და ბადრი კობახიძეების ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ნივთები.

ურთის მთაზე არსებულ სხვადასხვა პერიოდის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას დიდი სამეცნიერო და ტურისტული პოტენციალი გააჩნია.

***გოგიტა ჩიტაია,***
***ისტორიკოსი.***

სოფელი

# ოცნება რეალობად იქცა



ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეული მდებარეობს, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ხობის მუნიციპალიტეტში, სამხეთ-აღმოსავლეთით, კოლხეთის დაბლობზე, მდინარე ჭანისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 60-100 მეტრზე.

სამეგრელო ზემო-სვანეთის ცენტრი ქ. ზუგდიდიდან დაშორებულია 16 კმ-ით, ხოლო ხობიდან 30 კილომეტრით. საპარტო ქალაქ ფოთიდან 60 კილომეტრით. რელიეფი არის გორაკ-ბორცვიანი.

დღეის მდგომარეობით, ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში 291 კომლია, მოსახლეობა 875–შეადგენს.

ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრობს 41 იძულებით გადაადგილებული პირი. მოსახლეობაში ყველა ქართველია.

ადმინისტრაციულ ერთეულში არის ერთი საჯარო სკოლა, რომელსაც დიდი ისტორია აქვს. ზუსტი სტატისტიკური მონაცემებით, სკოლა დღემდე დაამთავრა 1500-ზე მეტმა ახალგაზრდამ, რომელთა შორისაც იყვნენ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ექიმი და ა.შ.

2013 წელს სკოლის დარბაზს რემონტი ჩაუტარა „ტორერომ“, 2014 წელს შ.პ.ს. „მშენებელმა“ სკოლას ჩაუტარა რემონტი–გადაიხურა.

დღეის მდგომარეობით ძველი ხიბულის საჯარო სკოლაში სწავლობს 74 მოსწავლე. მუშაობს 22 პედაგოგი. სკოლის დირექტორი არის ბატონი ზვიად ღვინჯილია. საჯარო სკოლა ზვიად გამსახურდიას სახელობისაა.

ერთ მშვენიერ დღეს ძველ ხიბულას მოულოდნელად ბატონი ბიძინა ივანიშვილი ესტუმრა. მან მოინახულა ღურწკაიების სახლი, სადაც პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა. ბატონ ბიძინას ჩამოსვლა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მას მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი შეხვდა. ის ხალხს დაპირდა, რომ სოფელს დაეხმარებოდა.

ვინ იფიქრებდა, რომ ძველ ხიბულაში, ამდენი დიდი და კარგი პროექტების განხორციელება იქნებოდა შესაძლებელი. ხიბულელებისთვის ეს იყო აუხდენელი ოცნება, რომელიც ბატონმა ბიძინამ და „ქართუ ბანკმა“ ოცნებად არ დაგვიტოვეს და სინამდვილედ გვიქციეს.

სოფლის ცენტრში ბატონი ბიძინას ინიციატივით აშენდა ორსართულიანი თანამედროვე, ევროპული სტანდარტის მქონე, 60 აღსაზრდელზე გათვლილი, საბავშვო ბაღი, რომელიც უკვე შევიდა ექპლოატაციაში და ძვირფასი, დაუვიწყარი საჩუქარია ბავშვებისთვის.

ფონდი „ქართუს“ მიერ მალევე დაიწყო ღურწკაიების სახლში გაწმენდითი და აღდგენითი სამუშაოები. სახლს დაუბრუნდა პირვანდელი სახე, დღეს ეს სახლი ზვიად გამსახურდიას სახელობის მუზეუმია, რომელსაც მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

ამ მუზეუმის ახლოს, გვერდით, ბატონი ბიძინას მიერ ეკლესიის მშენებლობისთვის



ადგილი იქნა შერჩეული და ეს ეკლესია უკვე მშენებარე მდგომარეობაშია, სადაც უამრავი ადამიანია დასაქმებული, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობა.

მინდა აგრეთვე აღვნიშნო, რომ სოფელში მთლიანად დამთავრებულია გაზიფიცირება და ბუნებრივი აირით უკვე სარგებლობს მოსახლეობა.

აღსანიშნავია ასევე ახალი და ძველი ხიბულის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა, რომელიც მალე დამთავრდება. მშენებლობაზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

ამჟამად სოფელში მიმდინარეობს წყლის მაგისტრალის გაყვანა, რომელიც დაწყებულია საქანთარიოს უბნის მიმართულებით. მიმდინარეობს სამუშაოები, რომელიც ყველა უბანში განხორციელდება. სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი ყველა უბანს მიეწოდება წყალი.

შემდეგ კი განხორციელდება არანაკლებ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტი, სოფელში დაიგება ბეტონის გზის საფარი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროექტები დაფინანსებულია „ქართუ ბანკის“ მიერ.

ხიბულელებს არასოდეს დაავიწყდებათ მათ საკეთილდღეოდ დათესილი სიკეთე. მოსახლეობა გახარებული და ბედნიერია, ასეთი კარგი პროექტების განხორციელებისთვის, რისთვისაც დიდ მადლიერებას და სიყვარულს გამოხატავენ ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და „ქართუ ბანკის“ მიმართ.

მსურს კარს მომდგარი ახალი 2021 წლის მობრძანება მივულოცო ჩემი სოფლის მოსახლეობას და სრულიად საქართველოს. ხვავი, ბარაქა და ჯანმრთელობა მოეტანოს თითეული ოჯახისთვის. წინსვლისა და წარმატების წელი ყოფილიყოს.

***გოგი გოგინავა,***
***მერის წარმომადგენელი***
***ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში.***

# ყველაფერს თავისი დრო აქვს, და რათქმა უნდა, კარგის თქმასაც



ამ რთულ პერიოდში, როცა მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარებაა, თავადაც ავად ვართ, უახლესი ადამიანი ხელიდან გამოგვაცალა ვირუსმა, რაღაცები უკანა პლანზე ინაცვლებს. ან გინდა თქმა, მაგრამ რაღაცნაირად გერიდება, გეუხერხულება აშკარა მიზეზის გამო–სტკივათ ადამიანებს, მაგრამ... ეს „მაგრამ“ არის ის, რომ სიკეთის, კარგის დანახვის დრო ყოველთვისაა, უფრო მეტიც, საჭიროა.

მოკლედ, ამდენი შესავალი ცოტა მეტიც კი გამომივიდა და ბარემ ვიტყვი. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარიატის საჯარო სკოლას სხვა ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან ერთად სახურავის პრობლემა ჰქონდა. სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა. უხარისხო და დაზიანებული სახურავისა და წყალსაწრეტების გამო სამივე სართულის კედლები სველდებოდა, რის გამოც საკლასო



ოთახები, კაბინეტები, დერეფანი ნესტმა და სისველემ დააზიანა. წვიმიან ამინდში მოსწავლეები საკლასო ოთახში მშრალ ადგილს ეძებდნენ მერხის დასადგმელად და დასაჯდომად. ეს მდგომარეობა განსაკუთრებულად გამძაფრდა ამ ბოლო წელს, პანდემიის პირობებში. ხშირად უხერხულობისგან მხრებაწურული ვატარებდი გაკვეთილს და თითქოს თვალს ვარიდებდი ჭერიდან წკაპაწკუპით ჩამომავალ წყალს.

არანაირი მნიშვნელობა არ აქვს მოსწავლისთვის სად ცხოვრობს, რომელი შორეული სოფლის სკოლაში დადის და მისი სკოლა მრავალრიცხოვანია თუ არა. ის ისეთივე შვილია, შვილიშვილია, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის მოქალაქეა, როგორც ყველაზე დიდი ქალაქის ყველაზე პრესტიჟული სკოლის უწარჩინებულესი მოსწავლე. არც ერთს არ უნდა ციოდეს, არ უნდა სველდებოდეს და კლასში მყოფი მხოლოდ საგაკვეთილო პროცესზე ფიქრობდეს და მაქსიმუმს აკეთებდეს საკუთარი თავისთვისაც და, სამომავლოდ, ქვეყნისთვისაც.

წელს ადგილობრივმა თვითმმართველობამ სველი წერტილების პრობლემა მოუგვარა სკოლას. ერთგვარი მორიდებით ჩვენი მეორე და უმთავრესი პრობლემის მოგვარების მიზნით მივმართეთ მერიასაც და საკრებულოსაც. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილემ, ბატონმა ნუკრი ხასიამ თავად ნახა სკოლის მდგომარეობა და თანადგომას შეგვპირდა. უპირველესად, დაგვეხმარნენ სწორი რჩევით.

უკვე დაკვალიანებულმა თხოვნის წერილით მივმართე საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“, ფონდის გამგეობის თვმჯდომარეს ბატონ ნიკოლოზ ჩხეტიანს. გულში კი მკენწლავდა ფიქრები, რატომ უნდა გააკეთონ? რა შუაში არიან? ამდენი პრობლემაა გარშემო და ჩვენთვის მოიცლიან? და ეს ეჭვის ჭია არც კი იყო ჩაჩუმებული, რომ ფონდის სამი წარმომადგენელი სკოლაში მოვიდა. დააკვირდნენ, აღწერეს, დათვალეს, სხვადასხვა ვარიანტებზე იმსჯელეს და წავიდნენ. რამდენიმე დღეში ისევ მობრუნდნენ საშენი მასალით დატვირთული მანქანებით, ამწით, ხელოსნებითა და მუშახელით, ხელმძღვანელი ვეფხვია სორდიათი.

ამდენი ვილაპარაკე და ბოლოს მოკლედ ვიტყვი: ასე მოკლე დროში, ასე ხარისხიანად, ასე მონდომებულად, თითოეული ნიუანსის, დეტალის ბოლომდე გათვლით, რაც ყველაზე მთავარია, ასეთი სიყვარულით საკუთარი შვილებისთვის აშენებულ სახლს თუ გადახურავს ერთგული და გამრჯე მშობელი. თან ხელი ათას სხვა წვრილმან გასაკეთებელს შეავლეს, შეაკეთეს რისი შეკეთებაც შეიძლებოდა, მშვიდობა დაგვიბარეს, წარმატებები გვისურვეს, მადლობის თქმაც არ გვაცალეს ბოლომდე ისე წავიდნენ.

დგას ახლა ქარიატის საჯარო სკოლის შენობა ამ რთულ პერიოდში სახადით შეწუხებულ და შეცბუნებულ მიწაზე უფრო წელგამართული, იმედიანი და ელის თავის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

მადლობა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ამ დიდი თანადგომისთვის, უხმაუროდ გაკეთებული საქმისთვის. მადლობა სამუშაოთა მწარმოებელს, ბატონ ვეფხვია სორდიას და ხელოსან მამაშვილებს–წიგნაძეებს. მადლობა ყველას, ვინც ბევრჯერ დასველდით და ზამთრის პირს ზედშემშრალი ტანსაცმლით შემცივნებულებმა ჯიუტად იმუშავეთ და ჩვენს ბავშვებს, სოფელს ასეთი საჩუქარი გაუკეთეთ.

***მაია ალექსანდრია,***
***ქარიატის საჯარო სკოლის დირექტორი.***

# ინფორმაცია კოვიდ-19-ის შესახებ

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრიდან მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელობით ჯანდაცვის ცენტრის და მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებასთან ერთად ატარებს კოვიდ–19-ის პრევენციისა და გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

მიმდინარე წლის მაისის თვეში გადამზადდა ჯანდაცვის ცენტრის და ხობის ევექსის სამედიცინო პერსონალი კოვიდ–19-ზე ლაბორატორიული ნიმუშების აღებაზე, ხოლო 15 ივნისიდან უკვე ტარდებოდა სხვადასხვა რისკჯგუფის გამოკვლევა პჯრ კვლევის მეთოდით გამოსაკვლევი კონტაქტი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით. მიმდინარე პერიოდში პჯრ-კვლევის მეთოდით ვიკვლევთ ჯანდაცვის პირველადი რგოლების სამედიცინო პერსონალს, პოლიციის და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს.

მ/წლის 4 დეკემბრიდან საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ვატარებთ ყველა საიმპტომიანი ავადმყოფის სწრაფ ტესტირებას ანტიგენით, პჯრ და ანტიგენის ტესტებით ჯანდაცვის ცენტრი ამარაგებს და უზრუნველყოფს ევექსის ხობის ჰოსპიტალსაც. ყოველდღიურად საშუალოდ ვიკვლევთ 60–63 პაციენტს, გამოკვლეული პაციენტების მატებასთან ერთად, მატულობს კოვიდ-19-ის დადასტურებული პაციენტების რაოდნობაც.

დეკემბრის თვიდან ჩვენში აქტიურდება გრიპიც, საქართველოში ცირკულაცია დაიწყო 13 ტიპის სეზონური გრიპის ვირუსმა, რომლებიც კლინიკური ნიშნით ჰგავს კოვიდ–19-ის ინფექციას, თუმცა საბოლოო დიაგნოზი ისმება მხოლოდ ლაბორატორიული კვლევის მეთოდით.

დეკემბრიდან რესპირაციული ვირუსების სეზონი აქტიურ ფაზაში შედის, ამიტომ ყველა პრევენციული ზომის გატარება აუცილებელია, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პირბადის ტარება, ის დაგიცავთ სეზონური გრიპისა და კოვიდ–19-ის ინფექციისგან.

ჯანდაცვის ცენტრში დამატებით შემოტანილი გვაქვს სეზონური გრიპის 4 კომპონენტიანი ვაქცინა. მოვუწოდებთ ჩვენს მოსახლეობას თავიანთ ტერიტორიულ სამედიცინო დაწესებულებებში აიცრან გრიპზე, მეორე მოწოდება არის ასეთი, ვთხოვთ ყველა სიმპტომიან ადამიანს, მოვიდნენ ჯანდაცვის ცენტრში და ევექსის ხობის ჰოსპიტალში ჩაიტარონ კოვიდ–19-ის გამოსავლენად სწრაფი ტესტირება, რომელიც არის უფასო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

სწრაფი ტესტირება ჯანდაცვის ცენტრში ტარდება ყოველდღიურად, შაბათის ჩათვლით 10 საათიდან 15 საათამდე. სწრაფი ტესტირების მიზანია, დროულად გამოვავლინოთ კოვი–19-ით დაინფიცირებული ადამიანები და დროულად გადავიყვანოთ ისინი თავიანთ ბინებში და კოვიდ-სასტუმროებში 12 დღიან თვითიზოლაციაში, მსუბუქ და საშუალო სიმპტომიან, დაავადებულ ფენებს ვუმკურნალოთ ბინაზე, ხოლო მძიმე პაციენტები გადაყვანილიქნას კოვიდ სტაციონარებში.

კოვიდ-19-ის თავიდან აცილებისთვის კვლავინდებურად დიდი მნიშვნელობა აქვს რეკომენდაციების დაცვას, პირბადე უნდა ვატაროთ ყველგან, უნდა დავიცვათ დისტანცია, არ გავმართოთ ქეიფები, წვეულებები, ქორწილები, უნდა დავემორჩილოთ იმ შეზღუდვებს, რაც მთავრობის მიერაა დაწესებული. მოვერიდოთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გავიდეთ სახლიდან.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით პჯრ და სწრაფი ტესტირებული თითოეული პაციენტი და მათი ოჯახის წევრები, ახალი კონტაქტები გაგვყავს 12 დღიან თვითიზოლაციაში. თვითიზალაციაში გაყვანილი პირების სახელობითი სიები ყოველდღიურად ეგზავნება სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციას და პოლიციის ხობის სამმართველოს შემდგომი რეაგირებისთვის. თითოეულ კოვიდ-ინფიციებულს ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგების მიერ ეძლევა რეკომენდაციები თვითიზოლაციის წესების დაცვის აუცილებლობისა და კოვიდ-19-ის მართვასა და თავიდან აცილების შესახებ. თითოეულ კოვიდ-ინფიცირებული თავის საცხოვრებელ სახლში 12 დღით უნდა იყოს იზოლირებული 12 დღიანი იზოლაციის დაცვა ეხება ინფიცირებულების ახლო კონტაქტებს, პირველ რიგში ოჯახის წევრებს.

ბინაზე მყოფმა ინფიცირებულებმა სამედიცინო დანიშნულების მისაღებად უნდა მიმართონ 112-ს და ტერიტორიულ ოჯახის ექიმებს. თუ პაციენტს აღენიშნება ტემპერატურა 39 გრადუსი და მეტი, რომელიც არ იკლებს 2 დღის განმავლობაში, ასევე აღენიშნება სუნთქვის უკმარისობა, ასეთ შემთხვევაში უნდა მიმართონ ისევ 112-ს ჰოსპიტალიზაციის თხოვნით.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ პანდემიის დაწყებიდან დღემდე სულ კოვიდ-19-ით ინფიცირებული იყო 740 პირი. გამოჯანმრთელდა 589 პირი, გარდაიცვალა 6. ამჟამად ინფიცირებულია 151, თვითიზოლაციაშია 253.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე. ექიმი-პროფილაქტიკოსი.***

## გვწერენ

### გმადლობთ, მაღალი ინტელექტისა და ღრმა პროფესიონალიზმისთვის!

წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს ბალავარი განათლებული საზოგადოებაა. ჩვენი, პედაგოგების, თავდაუზოგავი მოღვაწეობის უმთავრესი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. ამის გარანტი კი ბუნებამ უბოძა ადამიანს, ესაა იარაღი–ინტელექტუალური და მორალური ძალა.

ჩვენს პატარა ქალაქს არასდროს განუცდია წარმატებული, ერუდირებულ ახალგაზრდათა ნაკლებობა.

ამჯერად მკითხველის ყურადღება მსურს შევაჩერო ორი რჩეული ახალგაზრდის საქმიანობაზე, მათ მდიდარ შინაგან სამყაროზე.

ესენი გახლავთ: ლიბერთი ბანკის ხობის ფილიალის მმართველი, სენაკელი ბატონი ნუკრი სირია და ქ. ხობის ნოტარიუსი, ზუგდიდელი ბატონი ვლადიმერ თულაძე.

ამ მოკრძალებული, სამადლობელი წერილის დაწერის იდეა სწორედ მათთან საქმიანი ურთიერთობისას გამიჩნდა.

ჩემში მათ განამტკიცეს აზრი: განათლებული გონება აკეთილშობილებს ზნეობრივ გრძნობებს, ამ სანიმუშო ახალგაზრდებს გათავისებული აქვთ მორალური ღირებულებები.

კეთილი სალამი, სითბო-სიყვარულით სავსე თვალები, კრძალვა თითოეული მოქალაქის მიმართ, სასურველი სერვისის დახვეწილად, თავაზიანად მიწოდება, სხვის კეთილდღეობაზე ზრუნვა–აი, ყოველივე, რაც ადამიანის გულს სიამაყით ავსებს, ახარებს და აფიქრებინებს თითოეულის მისამართით:

„ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა!“

შეგნებული აქვთ რა საკუთარი მოვალეობანი, ამიტომაც გამოირჩევიან თავმდაბლობითა და მაღალი ინტელექტით.

დასასრულ, მინდა თითოეულ მათგანს პირველ რიგში ვუსურვო პირადი ბედნიერება და კარიერული წინსვლა.

დიდხანს ეღვაწოთ მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ბუმბერაზ ვაჟას დავესესხები ტაეპებს, რომლებიც ზედგამოჭრილია თითოეული მათგანისთვის:

„კარგი გყოლია გამდელი,
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!“

***ნელი ახალაია,***
***ქ. ხობის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.***

### სამადლობელი? არა, უფრო მეტი!

უხილავი მტრის კოვიდ-19-ის არასასურველი შედეგების შესახებ ინფორმაცია მეტ-ნაკლებად ყველამ ვიცით. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს „გაგვიშინაურდა“ ეს სასტიკი ვირუსი, ძალიან რთული და ძნელად აღსაქმელი გამოდგა... როცა დამირეკეს და შემატყობინეს, რომ ჩემს შვილს ტესტირების შედეგად კოვიდი დაუმტკიცდა, არასოდეს დამავიწყდება მისი გაოცებული, გაფითრებული სახე და უცებ მეუბნება: ნუ გეშინია, არ ინერვიულო, მე სხვა დაავადება არაფერი მაქვს, გამოვჯამრთელდებიო.

გამოჯანმრთელება კი, რომ არა მედიკოსების დროული და სწორი რეაგირება, ძალიან გაგვიჭირდებოდა. უპირველესად მინდა მადლობა გადავუხადო ლაბორანტ ეკა ალანიას, რომელმაც შეშინებულ ბავშვს ტკბილი სიტყვითა და თამაშ-თამაშით აუღო საჭირო მასალა ცხვირ-ხახიდან, ბატონ ექიმ პროფილაქტიკოსს ჯუმბერ ტურავას, რომელმაც ტელეფონით შემატყობინა ტესტის პასუხი და მომცა საჭირო მიმართულებები და რჩევები.

მანამდე კი ბარბარეს ავადმყოფობის შესახებ ინფორმირებული გვყავდა და მის რჩევებს მივყვებოდით ჩემი და ჩემი შვილისთვის საყვარელი და საიმედო ექიმი, პედიატრი სვეტლანა გვათუა, შემდეგ უკვე ჩაგვერთო ჩვენი ოჯახის ექიმი ქალბატონი თამარ მხეიძე, ასევე ონლაინ ლია ექიმი. არ ვიცი რომ არა მათი ყურადღება, თბილი და უშუალო დამოკიდებულება, აუჩქარებელი იმედის მომცემი სიტყვები, რომელიც მამხნევედა ალბათ მე ვერ შევძლებდი საჭირო დონეზე მიმეხედა ჩემი შვილისთვის.

დღეს უკვე გონს მოსული უფრო მეტად ვაანალიზებ სიტუაციას და უფრო მეტად ვმადლობ თითოეულ მათგანს მართლაც დიდი ადამიანობისთვის და მაღალი პროფესიონალიზმისთვის. სწორად შერჩეული მკურნალობის, თბილად და იმედიანად წარმოთქმული თითოეული სიტყვისთვის.

ბრძენს უთქვამს, ყველაზე ძვირფასი და დიდებული, რაც ადამიანს შეუძლია გააკეთოს, არის გასცეს უანგარო სიკეთე.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თითოეულ თქვენთაგანს ამ სიკეთისთვის.

მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა დაგბედებოდეთ, 2021 თქვენი ოჯახებისთვის ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს. გისურვებთ სულიერ სიმშვიდეს და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში.

***ჯულიეტა ლატარია.***

# ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №

ქ. ხობი 2019 წლის ნოემბერი

## ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

**ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1**

განისაზღვროს:

ა.ა) შემოსულობები - 10002,7 ათასი ლარით;

ა.ბ) გადასახდელები - 10002,7 ათასი ლარით;

ა.გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 210.0 ათასი ლარით, მათ შორის:

ა.გ.ა) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად - 210,0 ათასი ლარი;

ა.დ) სარეზერვო ფონდი - 90,0 ათასი ლარით;

ა.ე) ვალდებულებების ცვლილება, კლება 60,0 ათასი ლარით.

**მუხლი 2**

დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართულის სახით.

**მუხლი 3**

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 30/12/2019, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016336).

**მუხლი 4**

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

**ელიზერ ჯობავა**
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

**დანართი**

## ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი
## თავი I
## ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **17300-.5** | **16212-.5** | **7147.3** | **9065.2** | **9952.7** | **0.0** | **9952.7** |
| გადასახადები | 8155.3 | 8165.2 | 0.0 | 8165.2 | 9134.6 | 0.0 | 9134.6 |
| გრანტები | 8064.3 | 7357.3 | 7147.3 | 210.0 | 210.0 | 0.0 | 210.0 |
| სხვა შემოსავლები | 1080.9 | 690.0 | 0.0 | 690.0 | 608.1 | 0.0 | 608.1 |
| ხარჯები | 8607.8 | 9310.6 | 488.5 | 8822.1 | 8650.2 | 0.0 | 8650.2 |
| შრომის ანაზღაურება | 1977.0 | 2001.9 | 0.0 | 2001.9 | 2034.7 | 0.0 | 2034.7 |
| საქონელი და მომსახურება | 2234.5 | 1989.6 | 488.5 | 1501.1 | 1359.0 | 0.0 | 1359.0 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 42.6 | 35.8 | 0.0 | 35.8 | 37.0 | 0.0 | 37.0 |
| სუბსიდიები | 3640.5 | 4234.4 | 0.0 | 4234.4 | 4525.3 | 0.0 | 4525.3 |
| გრანტები | 30.0 | 63.0 | 0.0 | 63.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 440.8 | 539.0 | 0.0 | 539.0 | 471.9 | 0.0 | 471.9 |
| სხვა ხარჯები | 242.4 | 446.9 | 0.0 | 446.9 | 192.3 | 0.0 | 192.3 |
| **საოპერაციო სალდო** | **8692.7** | **6901.9** | **6658.8** | **243.1** | **1302.5** | **0.0** | **1302.5** |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 8778.2 | 9412.8 | 7058.3 | 2354.5 | 1242.5 | 0.0 | 1242.5 |
| ზრდა | 8986.1 | 10012.8 | 7058.3 | 2954.5 | 1292.5 | 0.0 | 1292.5 |
| კლება | 207.9 | 600.0 | 0.0 | 600.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| მთლიანი სალდო | -85.5 | -2510.9 | -399.5 | -2111.4 | 60.0 | 0.0 | 60.0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -264.7 | -2628.0 | -399.5 | -2228.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 718.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 718.9 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 983.6 | 2628.0 | 399.5 | 2228.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 983.6 | 2628.0 | 399.5 | 2228.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებებ-ის ცვლილება | -179.2 | -117.1 | 0.0 | -117.1 | -60.0 | 0.0 | -60.0 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 179.2 | 117.1 | 0.0 | 117.1 | 60.0 | 0.0 | 60.0 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 179.2 | 117.1 | 0.0 | 117.1 | 60.0 | 0.0 | 60.0 |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

**მუხლი 2.**

**ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსულობები** | | **17508.-4** | **16812.5** | **7147.3** | **9665.2** | **10002.7** | **0.0** | **10002.7** |
| შემოსავლები | 1 | 17300.5 | 16212.5 | 7147.3 | 9065.2 | 9952.7 | | 9952.7 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 207.9 | 600.0 | 0.0 | 600.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით) | 32 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გადასახდელები | | 17773.1 | 19440.5 | 7546.8 | 11893.7 | 10002.7 | 0.0 | 10002.7 |
| ხარჯები | 0.0 | 8607.8 | 9310.6 | 488.5 | 8822.1 | 8650.2 | | 8650.2 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | | 8986.1 | 10012.8 | 7058.3 | 2954.5 | 1292.5 | | 1292.5 |
| ვალდებულებების კლება | | 179.2 | 117.1 | | 117.1 | 60.0 | | 60.0 |
| ნაშთის ცვლილება | | -264.7 | -2628.0 | -399.5 | -2228.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

>>>> 10

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

9

**მუხლი 3. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 9952,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის გეგმა | | | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **17,300-.5** | **16,212-.5** | **7,147.3** | **9,065.2** | **9,952.7** | **0.0** | **9,952.7** |
| დამატებითი ღირ. გადასახადი | 3,384.4 | 3,465.2 | | 3,465.2 | 4,334.6 | | 4,334.6 |
| საშემოსავლო გადასახადი | | 0.0 | | | 0.0 | | |
| ქონების გადასახადი | 4,770.9 | 4,700.0 | 0.0 | 4,700.0 | 4,800.0 | 0.0 | 4,800.0 |
| **გრანტები** | **8,064.3** | **7,357.3** | **7,147.3** | **210.0** | **210.0** | | **210.0** |
| **სხვა შემოსავლები** | **1,080.9** | **690.0** | **0.0** | **690.0** | **608.1** | | **608.1** |

**მუხლი 4. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 9134,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის გეგმა | | | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 11 | 8155.3 | 8165.2 | 0.0 | 8165.2 | 9134.6 | 0.0 | 9134.6 |
| საშემოსავლო გადასახადი | | 0.0 | | | | | | |
| ქონების გადასახადი | 113 | 4770.9 | 4700.0 | 0.0 | 4700.0 | 4800.0 | 0.0 | 4800.0 |
| **საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)** | **113111** | **2536.8** | **2648.0** | | **2648.0** | **2648.0** | | **2648.0** |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 4.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1131131 | 0.0 | 2.0 | | 2.0 | 2.0 | | 2.0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 1131132 | 4.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113114 | 347.4 | 320.0 | 0.0 | 320.0 | 320.0 | 0.0 | 320.0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131141 | 136.2 | 100.0 | | 100.0 | 110.0 | | 110.0 |
| **იურიდიულ პირებიდან** | **1131142** | **211.2** | **220.0** | | **220.0** | **210.0** | | **210.0** |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113115 | 1882.7 | 1730.0 | 0.0 | 1730.0 | 1830.0 | 0.0 | 1830.0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131151 | 56.4 | 60.0 | | 60.0 | 60.0 | | 60.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131152 | 1826.3 | 1670.0 | | 1670.0 | 1770.0 | | 1770.0 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 1136 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სხვა გადასახადები | 116 | 3384.4 | 3465.2 | | 3465.2 | 4334.6 | | 4334.6 |

**მუხლი 5. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 210.0 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის გეგმა | | | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **გრანტები** | **13** | **8064.3** | **7357.3** | **7147.3** | **210.0** | **210.0** | **0.0** | **210.0** |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 133 | 8064.3 | 7357.3 | 7147.3 | 210.0 | 210.0 | 0.0 | 210.0 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 1311 | 809.2 | 1054.4 | 844.4 | 210.0 | 210.0 | 0.0 | 210.0 |
| **გათანაბრებითი ტრანსფერი** | | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 809.2 | 1054.4 | 844.4 | 210.0 | 210.0 | | 210.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 1312 | 7255.1 | 6302.9 | 6302.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან | | | 0.0 | | | 0.0 | | |
| სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | | 6423.0 | 5518.9 | 5518.9 | | 0.0 | | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 721.0 | 784.0 | 784.0 | | 0.0 | | |
| პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| მთავრობის სარეზერვო ფონდი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |

**მუხლი 6. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 608,1 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის გეგმა | | | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **სხვა შემოსავლები** | **14** | **1080.9** | **690.0** | **0.0** | **690.0** | **608.1** | **0.0** | **608.1** |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 141 | 337.8 | 210.0 | 0.0 | 210.0 | 244.4 | 0.0 | 244.4 |
| პროცენტები | 1411 | 162.9 | 80.0 | | 80.0 | 102.0 | | 102.0 |
| რენტა | 1415 | 174.9 | 130.0 | 0.0 | 130.0 | 142.4 | 0.0 | 142.4 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 14151 | 137.2 | 100.0 | | 100.0 | 122.4 | | 122.4 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14154 | 37.7 | 30.0 | | 30.0 | 20.0 | | 20.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142 | 130.1 | 75.1 | 0.0 | 75.1 | 63.7 | 0.0 | 63.7 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1422 | 93.5 | 40.1 | 0.0 | 40.1 | 31.2 | 0.0 | 31.2 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 61.7 | 9.1 | | 9.1 | 9.0 | | 9.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 142214 | 31.8 | 31.0 | | 31.0 | 22.2 | | 22.2 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 1423 | 36.6 | 35.0 | 0.0 | 35.0 | 32.5 | 0.0 | 32.5 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 14232 | 36.6 | 35.0 | | 35.0 | 32.5 | | 32.5 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 585.7 | 404.9 | | 404.9 | 300.0 | | 300.0 |

**მუხლი 7. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 8650,2 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის გეგმა | | | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **ხარჯები** | **8607.8** | **9310.6** | **488.5** | **8822.1** | **8650.2** | **0.0** | **8650.2** |
| შრომის ანაზღაურება | 1977.0 | 2001.9 | 0.0 | 2001.9 | 2034.7 | 0.0 | 2034.7 |
| საქონელი და მომსახურება | 2234.5 | 1989.6 | 488.5 | 1501.1 | 1359.0 | 0.0 | 1359.0 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 42.6 | 35.8 | 0.0 | 35.8 | 37.0 | 0.0 | 37.0 |
| სუბსიდიები | 3640.5 | 4234.4 | 0.0 | 4234.4 | 4525.3 | 0.0 | 4525.3 |
| გრანტები | 30.0 | 63.0 | 0.0 | 63.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 440.8 | 539.0 | 0.0 | 539.0 | 471.9 | 0.0 | 471.9 |
| სხვა ხარჯები | 242.4 | 446.9 | 0.0 | 446.9 | 192.3 | 0.0 | 192.3 |

**მუხლი 8. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1292,5 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის გეგმა | 2021 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 8,986.1 | 10,012.8 | 1,292.5 |

ბ) განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 50,0 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის გეგმა | 2021 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 207.9 | 600.0 | 50.0 |
| ძირითადი აქტივები | 22.0 | | 0.0 |
| მატერიალური მარაგები | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| არაწარმოებული აქტივები | 185.9 | 600.0 | 50.0 |
| მიწა | 185.9 | 600.0 | 50.0 |

**მუხლი 9. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული ფორმით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2019 წლის ფაქტი | 2020 წლის გეგმა | | | 2021 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **701** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **2791.8** | **3016.8** | **0.0** | **3016.8** | **3103.3** | **0.0** | **3103.3** |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2749.2 | 2981.0 | 0.0 | 2981.0 | 3066.3 | 0.0 | 3066.3 |
| 7011-1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2619.4 | 2844.3 | 0.0 | 2844.3 | 2854.7 | 0.0 | 2854.7 |
| 7011-2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 129.8 | 136.7 | 0.0 | 136.7 | 211.6 | 0.0 | 211.6 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 42.6 | 35.8 | 0.0 | 35.8 | 37.0 | 0.0 | 37.0 |
| **704** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **7271.6** | **7328.4** | **4975.7** | **2352.7** | **1788.0** | **0.0** | **1788.0** |
| 704-2 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 1156.1 | 1097.1 | 844.0 | 253.1 | 96.3 | 0.0 | 96.3 |

11

# ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

10

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 704-21 | სოფლის მეურნეობა | 1156.1 | 1097.1 | 844.0 | 253.1 | 96.3 | 0.0 | 96.3 | |
| 7045 | ტრანსპორტი | 5835.8 | 5893.3 | 4131.7 | 1761.6 | 1391.7 | 0.0 | 1391.7 | |
| 704-51 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 5835.8 | 5893.3 | 4131.7 | 1761.6 | 1391.7 | 0.0 | 1391.7 | |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 279.7 | 338.0 | 0.0 | 338.0 | 300.0 | 0.0 | 300.0 | |
| **705** | **გარემოს დაცვა** | **1109.8** | **493.0** | **0.0** | **493.0** | **260.9** | **0.0** | **260.9** | |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 200.6 | 420.6 | 0.0 | 420.6 | 210.9 | 0.0 | 210.9 | |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 909.2 | 72.4 | 0.0 | 72.4 | 50.0 | 0.0 | 50.0 | |
| **706** | **საბინაო-კომუნალური მეურნეობა** | **1896.1** | **3878.5** | **1710.6** | **2167.9** | **738.0** | **0.0** | **738.0** | |
| 7063 | წყალმომარაგება | 187.2 | 173.8 | 95.0 | 78.8 | 34.0 | 0.0 | 34.0 | |
| 7064 | გარე განათება | 295.2 | 324.2 | 0.0 | 324.2 | 335.4 | 0.0 | 335.4 | |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 1413.7 | 3380.5 | 1615.6 | 1764.9 | 368.6 | 0.0 | 368.6 | |
| **707** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **169.0** | **186.2** | **0.0** | **186.2** | **180.6** | **0.0** | **180.6** | |
| 707-2 | ამბულატორიული მომსახურება | 38.4 | 39.3 | 0.0 | 39.3 | 45.3 | 0.0 | 45.3 | |
| 707-24 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | 38.4 | 39.3 | 0.0 | 39.3 | 45.3 | 0.0 | 45.3 | |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 130.6 | 146.9 | 0.0 | 146.9 | 135.3 | 0.0 | 135.3 | |
| **708** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **1238.8** | **1341.8** | **0.0** | **1341.8** | **1409.2** | **0.0** | **1409.2** | |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 209.5 | 231.2 | 0.0 | 231.2 | 240.4 | 0.0 | 240.4 | |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 28.3 | 53.0 | 0.0 | 53.0 | 53.0 | 0.0 | 53.0 | |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 1001.0 | 1057.6 | 0.0 | 1057.6 | 1115.8 | 0.0 | 1115.8 | |
| 709 | განათლება | 2700.5 | 2658.3 | 860.5 | 1797.8 | 2023.4 | 0.0 | 2023.4 | |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1482.0 | 1704.5 | 0.0 | 1704.5 | 2003.4 | 0.0 | 2003.4 | |
| 7092 | ზოგადი განათლება | 1218.5 | 953.8 | 860.5 | 93.3 | 20.0 | 0.0 | 20.0 | |
| 709-23 | საშუალო ზოგადი განათლება | 1218.5 | 953.8 | 860.5 | 93.3 | 20.0 | 0.0 | 20.0 | |
| **710** | **სოციალური დაცვა** | **416.3** | **420.4** | **0.0** | **420.4** | **439.3** | **0.0** | **439.3** | |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 204.0 | 206.7 | 0.0 | 206.7 | 216.0 | 0.0 | 216.0 | |
| 7101-1 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 204.0 | 206.7 | 0.0 | 206.7 | 216.0 | 0.0 | 216.0 | |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 87.3 | 86.1 | 0.0 | 86.1 | 83.1 | 0.0 | 83.1 | |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 70.1 | 74.4 | 0.0 | 74.4 | 87.0 | 0.0 | 87.0 | |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 54.9 | 53.2 | 0.0 | 53.2 | 53.2 | 0.0 | 53.2 | |
| | **სულ** | **17593.9** | **19323.4** | **7546.8** | **11776.6** | **9942.7** | **0.0** | **9942.7** | |

**მუხლი 10. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 60,0 ათასი ლარით.

**მუხლი 11. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 -ით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 -ით.

**მუხლი 12. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0-ით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 60,0 ათასი ლარით.

**მუხლი 13. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

**მუხლი 14. ხობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 210.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) ,,საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 98,1 ათასი ლარი;

ბ) ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და ,,სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 107,4 ათასი ლარი;

გ) ,,სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 4,5 ათასი ლარი;

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქრთველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II

### ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

**მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 01 01 03)**

თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

**1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 01 03)**

პროგრამით ხორციელდება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა ჯამრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა–შენახვა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ქალაქის სკვერებისა და პარკების, ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების მოვლა-შენახვა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 02 01)**

**2.1.1 გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. პერსპექტივაში ამ მიმართულებით გაგრძელდება ასიგნებების გამოყოფა.

**2.1.2 ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 02)**

ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მგდომარეობის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია. სათანადო რესურსების შემთხვევაში ამ კუთხით ასიგნებები კვლავ გამოიყოფა.

**2.2 კომუნალური ინფრასრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02)**

**2.2.1 გარე განათება (პროგრამული კოდი 02 02 01)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, შპს ,,ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს გარე განათების მოვლა-შენახვის ღონისძიებების გახორციელებას,;

**2.2.2 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)**

მომავალ წლებში გათვალისწინებულ იქნება სოფლების წყალმომარაგების პრობლემების მნიშვნელოვანწილად გადაჭრა.

**2.2.3 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 03)**

პერსპექტივაში კვლავ გრძელდება საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

**2.2.4 სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 04)**

რეგიონის ჭარბნალექიანობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხებს.

**1.2.6 მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)**

შპს ,,ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული დაწესებულებების სასმელი წყლით მომარაგებას, ასევე ქ. ხობის მოსახლეობისა და ქ. ხობში განთავსებული დაწესებულებებისთვის წყალარინებით მომსახურების უზრუნველყოფას.

**2.3 სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)**

მუნიციპალიტეტისათვის ამ მეტად პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში საჭირო იქნება ცენტრალური ბიუჯეტიდან სათანადო სახსრების გამოყოფა.

**2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)**

პროექტი ხორციელდება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მიმართულებებზე, გამოკვეთილია გზები, სანიაღვრე არხები და წყალმომარაგების სისტემები.

**2.5 რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 06)**

პროგრამით ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გამოყფილი ˜ასიგნებებით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

**2.6 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 07)**

ერთობლივად დაფუძნებული კერძო სამართლის ა(ა)იპ ,,სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი“ აწარმოებს უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავებას, ორგანიზაცია მოახდენს რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას კერძო და საჯარო სექტორში რეგიონული ტურიზმის პოპულარიზებისათვის.

**3. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02)**

შპს ,,ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს ქალაქის სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვისა და დასუფთავების ღონისძიებების გახორციელებას, გააჩნია შესაბამისი ტექნიკა.

**4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

**3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1149 ბავშვი. ხდება არსებული მატერიალური ბაზის განახლება და ახლის შექმნა.

**5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

**5.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

**5.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)**

მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ზრდის სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსებას. 2020 წლისათვის გათვალისწინებული პროექტით - 10,0 ათასი ლარი.

**5.1.2 ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო**

12

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

11

**კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)**

მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხდება ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალთა გუნდის ტურნირების დაფინანსება, რაც 2020 წლისათვის შეადგენს 212,1 ათას ლარს.

**5.1.3 სტადიონების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)**

ხდება არსებული სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა.

**5.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

**5.2.1 ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)**

ამ კუთხით გამოყოფილი სახსრები განკუთვნილია ისტორიული ძეგლების მონიტორინგისათვის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

**5.2.2 კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)**

დაგეგმილია სხვადასხვა თემატური ღონისძიება, ხალხური პოეზიის გამოვლენა და შემოქმედ ოჯახებთან შეხვედრა, ახალგაზრდა თაობის ჩართვით.

**5.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები (მხარეთმცოდნეობის კუთხით ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული დღეების გამართვა, ექსკურსიების მოწყობა, ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შეხვედრების მოწყობა).

**5.4 კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)**

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმათლებო საზოგადოებრივი ცენტრი''-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს, . ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტური ცენტრი'' კოორდინირებას უწევს ქ. ხობში კულტურის სახლის, ცენტრალური ბიბლიოთეკის ქ. ხობში, 12 სასოფლო ბიბლიოთეკის, 8 სასოფლო კლუბის, 2 სასოფლო კულტურის სახლის, 3 მუზეუმის მუშაობას. ცენტრი ასევე ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან. აქ ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, კომპიუტერის შემსწავლელი ცენტრი, სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. სულ სხვადასხვა წრეებსა და სექციებში გაერთიანებულია 700-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მატერიალური ბაზისა და სპორტული და სასწავლო ინვენტარებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხს.

**5.5 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხობის ხარების დედათა მონასტრის ფინანსური მხარდაჭერა.

**6. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელსეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადსხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, ერთიანი სახერლმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

**6.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები (პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება\ ეპიდსაწიინალმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა\ დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება.)

იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა ( იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგებადადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაცინათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიტოების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში; (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; ,,ცივი ჯაჭვის'' ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა (წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დაგენა სეზონის განმავლობაში.

პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები (წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინაალმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.)

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა (მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა.

დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა (მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სხვა პარაზიტული დაავადებების დიგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება).

სანიტარული ღონისძიებები (საგანმანათლებლო, სააღმზრდელო საგანმანათლებლო-საარმზრდელო დაწესებულებებსი სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

**6.2 ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02)**

მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე. ამ მიზნით 2021 წელს გამოიყოფა 45,3 ათასი ლარი.

**6.3 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სტიქიით დაზარალებულთა დახმარებასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებს.

**6.3.1 ავადმყოფთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისათვის ფაქტიური საოპერაციო ხარჯების ნაწილობრივ დაფინანსება, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად, ასევე სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად დახმარება ეძლევა დიალეზით დაავადებულებს, ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.

**6.3.2 სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) (პროგრამული კოდი 06 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ომის ვეტერანთა და დევნილთა დაღუპვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა.

**6.3.3 ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (9 მაისის ერთჯერადი დახმარება) (პროგრამული კოდი 06 03 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დახმარება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე, ასევე ჩერნობილის ტრაგედიის დროს დაზარალებულთა დახმარება.

**6.3.4 მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა 4 და მეტი შვილზე 85 ოჯახს, 100 წელზე უხნესს 7 პიროვნებას, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად..

**6.3.5 უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება (პროგრამული კოდი 06 03 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება უმწეოთა კვების ხარჯების დაფინანსება და გამოყოფილია 87,0 ათასი ლარი 135 ბენეფიციარის მომსახურებაზე.

**6.3.6 ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილია სულ 40.0 ათასი ლარი, ერთ ბავშვის შეძენისას გაიცემა ერთჯერადი დახმარება 100 ლარი, ხოლო მესამე და ზევით 300 ლარი..

**6.3.7 უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება (პროგრამული კოდი 06 03 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში 0-57000 სარეიტინგო ქულის მქონეთ ეწევა დახმარება, რაც მოიცავს 130-მდე ოჯახს, რომელთა სულადობა 600-მდეა, გამოყოფილია 10.0 ათასი ლარი.

**6.4 უმწეოთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს ერთჯერადად 100 ლარის ფარგლებში, 2020 წელს გამოყოფილია 30.0 ათასი ლარი, განკარგვა ხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

**6.5 ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაიცემა ერთჯერადად, სტიქიური მოვლენებითა და ხანძრით დაზარებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, გასაცემი თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 3000 ლარს და გაიცემა ერთჯერადად, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

**6.6 მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება, უკიდურესად ავარიული სახლების შესაკეთებლად, გაიცემა ერთჯერადად 500-დან 3000 ლარამდე საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

## თავი III
## ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

**მუხლი 17. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა: სულ | 2019: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2019: მათ შორის საკუთარი შემოსავლები | 2020 წლის გეგმა: სულ | 2020: მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2020: მათ შორის საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ხობის მუნიციპალიტეტი** | **17773-.1** | **19440-.5** | **7546.8** | **11893.7** | **10002.-7** | **0.0** | **10002.-7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 164.0 | 166.0 | 0.0 | 166.0 | 166.0 | 0.0 | 166.0 |
| | ხარჯები | 8607.8 | 9310.6 | 488.5 | 8822.1 | 8650.2 | 0.0 | 8650.2 |
| | შრომის ანაზღაურება | 1977.0 | 2001.9 | 0.0 | 2001.9 | 2034.7 | 0.0 | 2034.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8986.1 | 10012.8 | 7058.3 | 2954.5 | 1292.5 | 0.0 | 1292.5 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 179.2 | 117.1 | 0.0 | 117.1 | 60.0 | 0.0 | 60.0 |
| **01 00** | **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება** | **2971.0** | **3167.9** | **0.0** | **3167.9** | **3163.3** | **0.0** | **3163.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 164.0 | 166.0 | 0.0 | 166.0 | 166.0 | 0.0 | 166.0 |
| | ხარჯები | 2711.4 | 2974.9 | 0.0 | 3008.9 | 3068.5 | 0.0 | 3068.5 |
| | შრომის ანაზღაურება | 1977.0 | 2001.9 | 0.0 | 2001.9 | 2034.7 | 0.0 | 2034.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 80.4 | 41.9 | 0.0 | 41.9 | 34.8 | 0.0 | 34.8 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 179.2 | 117.1 | 0.0 | 117.1 | 60.0 | 0.0 | 60.0 |
| **01 01** | **საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება** | **2749.2** | **2966.2** | **0.0** | **2966.2** | **2976.3** | **0.0** | **2976.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 164.0 | 166.0 | 0.0 | 166.0 | 166.0 | 0.0 | 166.0 |
| | ხარჯები | 2668.8 | 2924.3 | 0.0 | 2924.3 | 2941.5 | 0.0 | 2941.5 |
| | შრომის ანაზღაურება | 1977.0 | 2001.9 | 0.0 | 2001.9 | 2034.7 | 0.0 | 2034.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 80.4 | 41.9 | 0.0 | 41.9 | 34.8 | 0.0 | 34.8 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **01 01 01** | **ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო** | **649.4** | **721.3** | **0.0** | **721.3** | **718.0** | **0.0** | **718.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 29.0 | 29.0 | | 29.0 | 29.0 | | 29.0 |
| | ხარჯები | 644.5 | 713.2 | 0.0 | 713.2 | 713.1 | 0.0 | 713.1 |
| | შრომის ანაზღაურება | 448.2 | 467.2 | 0.0 | 467.2 | 471.9 | 0.0 | 471.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4.9 | 8.1 | 0.0 | 8.1 | 4.9 | 0.0 | 4.9 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **01 01 02** | **ხობის მუნიციპალიტეტის მერია** | **1970.0** | **2123.0** | **0.0** | **2123.0** | **2136.7** | **0.0** | **2136.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 127.0 | 129.0 | | 129.0 | 129.0 | | 129.0 |
| | ხარჯები | 1894.5 | 2091.6 | 0.0 | 2091.6 | 2109.2 | 0.0 | 2109.2 |
| | შრომის ანაზღაურება | 1434.3 | 1455.6 | 0.0 | 1455.6 | 1481.4 | 0.0 | 1481.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 75.5 | 31.4 | 0.0 | 31.4 | 27.5 | 0.0 | 27.5 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **01 01 03** | **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა** | **129.8** | **121.9** | **0.0** | **121.9** | **121.6** | **0.0** | **121.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 8.0 | 8.0 | | 8.0 | 8.0 | | 8.0 |
| | ხარჯები | 129.8 | 119.5 | 0.0 | 119.5 | 119.2 | 0.0 | 119.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 2.4 | 0.0 | 2.4 | 2.4 | 0.0 | 2.4 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

13

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

12

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 02 | **საერთო დანიშნულების ხარჯები** | **221.8** | **167.7** | **0.0** | **167.7** | **187.0** | **0.0** | **187.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 42.6 | 50.6 | 0.0 | 50.6 | 127.0 | 0.0 | 127.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 179.2 | 117.1 | 0.0 | 117.1 | 60.0 | 0.0 | 60.0 |
| 01 02 01 | **სარეზერვო ფონდი** | **0.0** | **14.8** | **0.0** | **14.8** | **90.0** | **0.0** | **90.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 14.8 | 0.0 | 14.8 | 90.0 | 0.0 | 90.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 02 03 | **მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა** | **221.8** | **152.9** | **0.0** | **152.9** | **97.0** | **0.0** | **97.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 42.6 | 35.8 | 0.0 | 35.8 | 37.0 | 0.0 | 37.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 179.2 | 117.1 | 0.0 | 117.1 | 60.0 | 0.0 | 60.0 |
| 01 03 | **საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებები** | **0.0** | **34.0** | **0.0** | **34.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 34.0 | 0.0 | 34.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 00 | **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **9744.9** | **10843-.3** | **6686.3** | **4157.0** | **2156.9** | **0.0** | **2156.9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 1553.9 | 1513.9 | 168.0 | 1345.9 | 926.7 | 0.0 | 926.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 8191.0 | 9329.4 | 6518.3 | 2811.1 | 1230.2 | 0.0 | 1230.2 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 01 | **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)** | **5354.0** | **5194.8** | **4131.7** | **1063.1** | **828.0** | **0.0** | **828.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 97.1 | 399.3 | 0.0 | 399.3 | 311.4 | 0.0 | 311.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5256.9 | 4795.5 | 4131.7 | 663.8 | 516.6 | 0.0 | 516.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 01 01 | **გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა** | **4173.6** | **5049.5** | **4043.1** | **1006.4** | **798.0** | **0.0** | **798.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 97.1 | 399.3 | 0.0 | 399.3 | 311.4 | 0.0 | 311.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4076.5 | 4650.2 | 4043.1 | 607.1 | 486.6 | 0.0 | 486.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 01 02 | **ხიდების,ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა** | **1180.4** | **145.3** | **88.6** | **56.7** | **30.0** | **0.0** | **30.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1180.4 | 145.3 | 88.6 | 56.7 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 | **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **3005.9** | **4371.5** | **1710.6** | **2660.9** | **998.9** | **0.0** | **998.9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 1144.0 | 916.6 | 0.0 | 916.6 | 585.3 | 0.0 | 585.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1861.9 | 3454.9 | 1710.6 | 1744.3 | 413.6 | 0.0 | 413.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 01 | **გარე განათება** | **295.2** | **324.2** | **0.0** | **324.2** | **335.4** | **0.0** | **335.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 295.2 | 324.2 | 0.0 | 324.2 | 335.4 | 0.0 | 335.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 02 | **წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **187.2** | **173.8** | **95.0** | **78.8** | **34.0** | **0.0** | **34.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 1.0 | 9.0 | 0.0 | 9.0 | 9.0 | 0.0 | 9.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 186.2 | 164.8 | 95.0 | 69.8 | 25.0 | 0.0 | 25.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 03 | **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია** | **1413.7** | **3380.5** | **1615.6** | **1764.9** | **368.6** | **0.0** | **368.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 182.0 | 108.5 | 0.0 | 108.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1231.7 | 3272.0 | 1615.6 | 1656.4 | 368.6 | 0.0 | 368.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 04 | **სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **909.2** | **72.4** | **0.0** | **72.4** | **50.0** | **0.0** | **50.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 465.2 | 54.3 | 0.0 | 54.3 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 444.0 | 18.1 | 0.0 | 18.1 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 06 | **მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია** | **200.6** | **420.6** | **0.0** | **420.6** | **210.9** | **0.0** | **210.9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 200.6 | 420.6 | 0.0 | 420.6 | 210.9 | 0.0 | 210.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 04 | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | **721.0** | **844.0** | **784.0** | **60.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 265.2 | 168.0 | 168.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 455.8 | 676.0 | 616.0 | 60.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 05 | **სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია** | **354.3** | **65.0** | **60.0** | **5.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 354.3 | 65.0 | 60.0 | 5.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 06 | **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება** | **279.7** | **338.0** | **0.0** | **338.0** | **300.0** | **0.0** | **300.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 17.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 262.1 | 338.0 | 0.0 | 338.0 | 300.0 | 0.0 | 300.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 07 | **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა** | **30.0** | **30.0** | **0.0** | **30.0** | **30.0** | **0.0** | **30.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 00 | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **481.8** | **698.5** | **0.0** | **698.5** | **563.7** | **0.0** | **563.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 481.8 | 698.0 | 0.0 | 698.0 | 563.7 | 0.0 | 563.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 01 | **დასუფთავების ღონისძიებები** | **481.8** | **698.5** | **0.0** | **698.5** | **563.7** | **0.0** | **563.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 481.8 | 698.0 | 0.0 | 698.0 | 563.7 | 0.0 | 563.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 00 | **განათლება** | **2700.5** | **2624.3** | **860.5** | **1763.8** | **2023.4** | **0.0** | **2023.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 2047.6 | 2030.9 | 320.5 | 1710.4 | 2023.4 | 0.0 | 2023.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 652.9 | 593.4 | 540.0 | 53.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 01 | **სკოლამდელი განათლების დაფინანსება** | **1482.0** | **1704.5** | **0.0** | **1704.5** | **2003.4** | **0.0** | **2003.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 1436.0 | 1687.7 | 0.0 | 1687.7 | 2003.4 | 0.0 | 2003.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 46.0 | 16.8 | 0.0 | 16.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 05 | **საჯარო სკოლების დაფინანსება** | **1218.5** | **919.8** | **860.5** | **59.3** | **20.0** | **0.0** | **20.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 611.6 | 343.2 | 320.5 | 22.7 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 606.9 | 576.6 | 540.0 | 36.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

14

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

13

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0500 | **კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** | **1238.8** | **1341.8** | **0.0** | **1341.8** | **1409.2** | **0.0** | **1409.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 1180.5 | 1300.2 | 0.0 | 1300.2 | 1381.7 | 0.0 | 1381.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 58.3 | 41.6 | 0.0 | 41.6 | 27.5 | 0.0 | 27.5 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0501 | **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** | **209.5** | **231.2** | **0.0** | **231.2** | **240.4** | **0.0** | **240.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 200.4 | 231.2 | 0.0 | 231.2 | 240.4 | 0.0 | 240.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0501 01 | **სპორტული ღონისძიებების დაფინანსება** | **9.3** | **10.0** | **0.0** | **10.0** | **10.0** | **0.0** | **10.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 9.3 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0501 02 | **ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები** | **184.8** | **203.2** | **0.0** | **203.2** | **212.4** | **0.0** | **212.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 175.7 | 203.2 | 0.0 | 203.2 | 212.4 | 0.0 | 212.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0501 03 | **სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები** | **15.4** | **18.0** | **0.0** | **18.0** | **18.0** | **0.0** | **18.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 15.4 | 18.0 | 0.0 | 18.0 | 18.0 | 0.0 | 18.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0502 | **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** | **28.3** | **53.0** | **0.0** | **53.0** | **53.0** | **0.0** | **53.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 28.3 | 53.0 | 0.0 | 53.0 | 53.0 | 0.0 | 53.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0502 01 | **კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული განვითარების ხელშეწყობა** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0502 02 | **ძეგლთა დაცვის ხარჯები** | **28.3** | **53.0** | **0.0** | **53.0** | **53.0** | **0.0** | **53.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 28.3 | 53.0 | 0.0 | 53.0 | 53.0 | 0.0 | 53.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0503 | **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება** | **1.2** | **5.5** | **0.0** | **5.5** | **5.5** | **0.0** | **5.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 1.2 | 5.5 | 0.0 | 5.5 | 5.5 | 0.0 | 5.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0504 | **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** | **6.9** | **9.0** | **0.0** | **9.0** | **9.0** | **0.0** | **9.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 6.9 | 9.0 | 0.0 | 9.0 | 9.0 | 0.0 | 9.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0505 | **კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა** | **992.9** | **1043.1** | **0.0** | **1043.1** | **1101.3** | **0.0** | **1101.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 943.7 | 1001.5 | 0.0 | 1001.5 | 1073.8 | 0.0 | 1073.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 49.2 | 41.6 | 0.0 | 41.6 | 27.5 | 0.0 | 27.5 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 00 | **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **636.1** | **764.7** | **0.0** | **764.7** | **686.2** | **0.0** | **686.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 632.6 | 758.7 | 0.0 | 758.7 | 686.2 | 0.0 | 686.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3.5 | 6.0 | 0.0 | 6.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 01 | **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** | **130.6** | **146.9** | **0.0** | **146.9** | **135.3** | **0.0** | **135.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 127.1 | 140.9 | 0.0 | 140.9 | 135.3 | 0.0 | 135.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3.5 | 6.0 | 0.0 | 6.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 02 | **ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა** | **38.4** | **39.3** | **0.0** | **39.3** | **45.3** | **0.0** | **45.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 38.4 | 39.3 | 0.0 | 39.3 | 45.3 | 0.0 | 45.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 | **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა** | **343.3** | **355.4** | **0.0** | **355.4** | **379.3** | **0.0** | **379.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 343.3 | 355.4 | 0.0 | 355.4 | 379.3 | 0.0 | 379.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 01 | **ავადმყოფთა სოციალური დახმარება** | **204.0** | **206.7** | **0.0** | **206.7** | **216.0** | **0.0** | **216.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 204.0 | 206.7 | 0.0 | 206.7 | 216.0 | 0.0 | 216.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 02 | **სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები)** | **4.7** | **4.5** | **0.0** | **4.5** | **4.5** | **0.0** | **4.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 4.7 | 4.5 | 0.0 | 4.5 | 4.5 | 0.0 | 4.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 03 | **მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ჩერნობილით დაზარალებულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები** | **7.7** | **8.7** | **0.0** | **8.7** | **8.7** | **0.0** | **8.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 7.7 | 8.7 | 0.0 | 8.7 | 8.7 | 0.0 | 8.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 04 | **მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი** | **12.0** | **12.1** | **0.0** | **12.1** | **13.1** | **0.0** | **13.1** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 12.0 | 12.1 | 0.0 | 12.1 | 13.1 | 0.0 | 13.1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 05 | **უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება** | **70.1** | **74.4** | **0.0** | **74.4** | **87.0** | **0.0** | **87.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 70.1 | 74.4 | 0.0 | 74.4 | 87.0 | 0.0 | 87.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 06 | **ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი** | **35.0** | **39.0** | **0.0** | **39.0** | **40.0** | **0.0** | **40.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 35.0 | 39.0 | 0.0 | 39.0 | 40.0 | 0.0 | 40.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 07 | **უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება** | **9.8** | **10.0** | **0.0** | **10.0** | **10.0** | **0.0** | **10.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 9.8 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 04 | **უმწეოთა ერთჯერადი დახმარება** | **40.3** | **35.0** | **0.0** | **35.0** | **30.0** | **0.0** | **30.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 40.3 | 35.0 | 0.0 | 35.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 05 | **ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება** | **32.7** | **30.0** | **0.0** | **30.0** | **30.0** | **0.0** | **30.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 32.7 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 06 | **მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა** | **50.8** | **158.1** | **0.0** | **158.1** | **66.3** | **0.0** | **66.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 50.8 | 158.1 | 0.0 | 158.1 | 66.3 | 0.0 | 66.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

შემსრულებელი დ. ჭოჭუა

სულთათანა

# ვალტერ გაწერელია



მიმძიმს იმ ადამიანზე მოგონების დაწერა, რომელთანაც წლები სამსახურებრივი და ადამიანური ურთიერთობა მაკავშირებდა.

ვალტერ გაწერელია გასული საუკუნის 80-იან წლებში დაინიშნა შ.ს. ხობის რაიონული განყოფილების უფროსად, მას არ გააჩნდა ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება და პროფესიული განათლება, მაგრამ პიროვნული თვისებებით, სათანადო ინტიუციით, დაუღალავი შრომით, მიზნის განხორციელებისკენ მიმართული გამარჯვების რწმენით, მალე აუღო ალღო მის წინაშე მდგარ რთულ ამოცანებს და ჩამოყალიბდა კრიმინალთან მებრძოლ ფლაგმან ჩეკისტად. იგი ტოლს არ უდებდა პრაქტიკული ჩვევების მქონე გამოცდილ კოლეგებს, რაც აისახა კიდეც დანაშაულის მკვეთრად შემცირების ტენდენციაში, სტატისტიკურ მონაცემებშიც, სადაც ხობის რაიონი რესპუბლიკაში ამ მხრივ მოწინავე პოზიციაზე აღმოჩნდა.

ვალტერ გაწერელიას შესწევდა უნარი საჭირო რჩევა-დარიგება მიეცა სასიკეთო გზას აცდენილი ახალგაზრდებისთვის, ამასთანავე ბოროტმოქმედების, განსაკუთრებით რეციდივისტების მიმართ გამოეჩინა შეურიგებელი სიმკაცრე. მას სამსახურებრივი მოვალეობა წინაპლანზე ჰქონდა დაყენებული, არასოდეს დაუფლებია თვითკმაყოფილების თუ თვითდამშვიდების გრძნობას და აღნიშნულ ჩვევებს აჩვევდა თანამშრომლებს, რომლებიც ჭირსა და ლხინში მხარში ედგა. საჭიროების შემთხვევაში პოლიციის შენობაში ათენ-აღამებდა, რითაც პირად მაგალითს აძლევდა თანამშრომლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის ორსართულიანი შენობა უშუალოდ მისი თაოსნობით აშენდა და კეთილმოეწყო, რაც თავის ფუნქციურ მოვალეობას დღემდე ასრულებს.

დაუვიწყარია ბატონ ვალტერის ძალისხმევა ახალგაზრდა კადრების სამსახურში მიზიდვის თვალსაზრისით, რომლებსაც შესაძლებლობის ფარგლებში გზას უკვალავდა და უანგაროდ ემსახურებოდა დაწინაურებაში.

რაც შეეხება ვალტერ გაწერელიას სამსახურსგარეშე ცხოვრებას, იგი მოქმედებდა „მოყვარეს პირში უძახეს“ პრინციპით, იყო მთის ნაკადულივიუთ სუფთა, მოძრავი პიროვნება, რომელიც მოზღვავებული ენერგიის წალობით გარშემო მყოფ ადამიანებს სიცოცხლის სიყვარულის უშრეტ სხივს აფრქვევდა რასაც თან სდევდა სიხალისე და უბრალოება, საზოგადოებაში გარკვეული ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა. თავისუფალ დროს სამეგობრო წრეში ტრიალებდა, ჩვეული ხმაურით აფხიზლებდა მათ.

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ღირსეული ადამიანი, რომელმაც ახალგაზრდობის წლების გარკვეული პერიოდი დანაშაულთა წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის საპატიო საქმეს შეალია, რისთვისაც ერთხელაც არ დაუჩივლია, რადგანაც გულწრფელად უყვარდა ის საქმე, რომელსაც ასე თავდადებით ემსახურებოდა.

შესანიშნავ მეუღლე, ლამზირასთან ერთად მან დატოვა საამაყო ოჯახი, შვილები და შვილიშვილები, მისი მონაგარი ბედნიერია მათი წარმომავლობით.

მშვიდობით ძმაო ვალტერ, უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

***ჯემალ ხურცილავა.***

# ნანი სალაყაია

ხობის ქუჩებში მიმავალთ შეიძლება შეგხვედრიათ ლამაზი, ქერათმიანი ქალბატონი, სახეზე გადაფენილი ნათელი ღიმილით, ზღვისფრად შეღებილი ზღვისფერივე თვალებითა და ცხოვრების ხალისით დატვირთული, ყველას და ყველაფერს ბედნიერებას რომ უწილადებდა და ამ დროს, არც თავისი წილი ბედნიერება ეცოტავდებოდა. რაღაც ჯადოქრობასავით ჟღერს ხომ? დიახ, ნანი სალაყაიაც ჯადოქარი იყო. ის თავისი სხეულის ყოველი ნაწილით დაატარებდა სამყაროს უდიადეს ჯადოქრობას–სიყვარულს.



წარმოუდგენლად რთულია იმ ადამიანზე წარსულში საუბარი, რომელიც მუდამ შენი ნაბიჯების შემფასებლად, სამარადჟამო გულშემატკივრად და იმ საყვარელ მასწავლებლად გესახებოდა, უნივერსიტეტიდან არდადეგებზე მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული პირველად მასთან რომ მიირბენ და მოინახულებ, ძველ ამბებს გაიხსენებ და მიხვდები, თუ როგორ მოგნატრებია შენი ბავშვობის თითოეული დეტალი. კიდევ უფრო რთულია ნანი მასწავლებლის გარდაცვალებაზე ფიქრი, როცა აანალიზებ, რომ ასეთი მოგონებები მას მხოლოდ შენთან კი არა, ხობის ახალგაზრდების (და არა მარტო) ძალიან დიდ ნაწილთან აკავშირებდა.

მაგრამ სხვა რაღა დაგვრჩენია. უნდა ვისაუბროთ, უნდა მოვიგონოთ და უკვდავვყოთ იმ ადამიანის ხსოვნა, რომელიც ასე ძალიან და ამდენს გვიყვარდა, რომელსაც ასე ძალიან და ამდენი უყვარდა.

ტრადიციული მექსიკური შეხედულებით ადამიანი სამჯერ კვდება. პირველი სიკვდილი ფიზიკურია, სხეულის სიკვდილი. მეორე უფრო ბუნებასთანაა კავშირში: როცა სხეული მიწაში იდება განსასვენებლად და ბუნების ციკლს უბრუნდება. ხოლო მესამე, საბოლოო სიკვდილი კი მაშინ დგება, როდესაც გარდაცვლილის შესახებ ჩვენი უკანასკნელი მოგონება უფერულდება და გვავიწყდება ის ადამიანი, რომელიც ერთ დროს ესოდენ ბევრს ნიშნავდა ჩვენთვის. ვფიქრობ, ის განუზომელი ვალი, რომელიც ნანი მასწავლებლის მიერ გაცემული სიკეთეების საზღაურად დაგვრჩა გადასახდელი, სწორედ იმით შეგვიძლია გადავიხადოთ, რომ მას მესამედ სიკვდილის საშუალება არ მივცეთ, რომ ჩვენს თავს არასდროს მივცეთ უფლება, ერთი ტონით მაინც გაუფერულდეს მოგონება ფერად ქალზე, რომელიც ხობის ქუჩებში დააბიჯებდა და სიკეთესა და სიყვარულს ასხივებდა.

ძალიან მიყვარდა. იმაზე გაცილებით მეტად, ვიდრე თავად წარმოედგინა.

და დღეს ის აღარ არის. სადაც არ უნდა წასულიყო, ზუსტად ვიცი, ყველაზე კარგ ადგილს მას შეახვედრებენ, ყველაზე მაღალ ადგილას დასვამენ, რათა კარგად დაგვინახოს, კარგად შეგვათვალიეროს, უყუროს, რას გავაკეთებთ და როგორ გავუმართლებთ იმედებს ყველა ის ადამიანი, რომელთა განვითარებაში განუზომელი წვლილი მიუძღვის.

ნახვამდის, ნანი მასწავლებელო არ დაგემშვიდობებით. ოდესმე აუცილებლად შეგხვდებით და წვრილად გიამბობთ აქაურ ამბებს, ზუსტად ისევე, როგორც თქვენ გიყვარდათ, საათობით გემუსაიფებით და გპირდებით, არასდროს დავიღლები.

იქამდე კი იმედს დავიტოვებ, რომ ჩემი ხანმოკლე თუ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე იმის ნახევარი სიკეთის გაკეთებას მაინც მოვასწრებ, რამდენიც თქვენ მოასწარით.

და ბოლოს, ერთ რჩევას მოგცემთ. როდესაც ნანი სალაყაია მოგენატრებათ და არ გეცოდინებათ, ყელში ბურთად მოწოლილ დარდს რა უყოთ, ერთ ძალიან ცნობილ სიმღერას მოუსმინეთ, Ed Sheeran-ის Supermarket Flowers-ს. მართალია ეს სიმღერა გარდაცვლილ დედაზეა, მაგრამ ნანის(ბევრისთვის დედასავით საყვარელი ადამიანის) მოგონებით აღძრულ სევდასაც მშვენივრად ეხმიანება და გვაგრძნობინებს, რომ ის ამქვეყნად ნანის სახით მოვლენილი ანგელოზი იყო და როდესაც ფრთებგაშლილი ღმერთთან დაბრუნდა, მან დიდი სიყვარულით მიიღო და უთხრა: „ალილუია, სახლში დაბრუნდი“. დიახ, მეგობრებო, ნანი სახლში დაბრუნდა და თან უამრავი ადამიანის გულწრფელი სიყვარული წაიყოლა.

***დავით ბერაია,***
***თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი.***

# იამზე თათარიშვილი-სალაყაია



წლის ბოლო თვეების ტკივილიანი დღეები კიდევ ერთხელ გახდა გაუსაძლისი. გარდაიცვალა ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი დიდებული ოჯახის ღირსეული დიასახლისი, ნეტარხსენებული ხობის კოლორიტის თემურ სალაყაიას მეუღლე იამზე თათარიშვილი. ჩვენი გაზეთის ყოფილი ფოტოკორესპონდენტის ვიტალი თათარიშვილის სანუკვარი და. ლამაზი, სათნო, ტკბილმოუბარი და კეთილშობილი ქალბატონი. დიდებული ოჯახის დედა და ბებია.

როგორ არ ეცადა, მაგრამ ვერ იხსნა მისი სიცოცხლე ჯერ კიდევ უხილავი სენიდან პეტერბურგში მოღვაწე ექიმმა ქალიშვილმა თეამ და სიძე ბესო თოდუამ.

დასანანია, ტკივილამდე დასანანი... მისი გარდაცვალება ტრაგედიაა ორი გვარის ოჯახისთვის, ახლობლებისთვის... თავად ნაადრევად იპოვა გზა ბატონ თემურის გვერდით სამყოფოდ...

ვუსამძიმრებთ ყველას, ვისაც გული დაუმძიმდა ქალბატონ იამზეს გარდაცვალების გამო.

ნათელი დაადგეს მის ლამაზ სულს.

**რედაქციელები.**

# ენუქი ცქირია



ცხოვრებაში დგება წუთები, როცა მთელი სამყაროს წინაშე ამბოხდები, რადგან შენთვის იმსხვრევა და უფერულდება ცხოვრება, აღარ არის სიხარული, იმსხვრევა იმედები და უფასურდება რწმენა სიკეთისა.

შენი სიკვდილიც ხომ ბოროტისა და სიკეთის ჭიდილის ავი დასასრული იყო, ჩემო ერთადერთო!..

რა დრო გასულა, ათი წელი.. ათი ულმობელი წელია, რაც შენს გულმკვდარ დედას არ უნახავს შენი ლამაზი თვალები, შენი თბილი ღიმილი, შენით გამოწვეული სიხარული. თავადაც ხომ მუდამ სიხარულს აფრქვევდი, უზომოდ გიყვარდა ცოლ-შვილი, დედ-მამა, მეგობრები, მეზობლები, ზოგადად, ადამიანები.. შენი ნოჯიხევი და ხობი.

სიცოცხლეს ეტრფოდი, შვილო, დიდხანს, მთელი ახალგაზრდობა, ებრძოლე ულმობელ სენს, მაგრამ... დაუნდობელმა სიკვდილმა იმძლავრა, გაიმარჯვა,... წამართვა შენი თავი...

იმ ავადმოსაგონარი დღის შემდეგ, როცა შენი გულისცემა შეწყდა, შენზე ვლოცულობ, საფლავს არ ვშორდები, გეფერები, გეჩურჩულები... მტკივა,... ძალიან მტკივა უშენობა... სიბერისა და უძლურობის გამო ბევრჯერ შენთან მოსვლა და ჩურჩული მიჭირს, ვიცი, უთქმელადაც გაიგებ გულდამწვარი დედის კვნესა-გოდებასა და სათქმელს..

შენი სახისთვის ერთხელ შემავლებინა თვალი, შენი სუნთქვა მომასმენინა, შენს გულ-მკერდზე თავი დამადებინა, შვილო, ჩემო გაუნელებელო ტკივილო, ჩემო ჩამქრალო იმედო.

ათი ტკივილიანი და უსიხარულო წელი გავიდა. ძალიან ძნელია ერთადერთი შვილის დამკარგავი დედის სიცოცხლე, მაგრამ ერთი რამ მასულდგმულებს: შენ დაგრჩა მეუღლე, შვილი, რძალი, შვილიშვილი... ისინი აგრძელებენ შენს სიცოცხლეს, არასდროს ჩააქრობენ შენს კერას, არასდროს დაივიწყებენ შენს სახელს, ზნეკეთილი ცხოვრებით ოჯახის ტრადიციებს გააგრძელებენ... შენს განუხორციელებელ ოცნებებს ფრთებს შეასხამენ.

შენ ულმობელმა სიკვდილმა გამოგარჩია და მარადისობაში გაგიჩინა სავანე, მე სააქაოს დამტოვა უსაზღვროდ სევდიანი და ტკივილიანი. ისღა დამრჩენია ველოდო იმ დღეს, როცა ერთად შევიყრებით, როცა ვერავინ და ვერაფერი დაგვაშორებს იქ, ცათა სასუფეველში.

შენი გულმკვდარი დედა

**ლუარა ჩიტაია**

# კახა ქაქუთია



მამა, უშენოდ უკვე მეხუთეჯერ ვემზადებით ახალი წლის შესახვედრად. გვაკლიხარ და გვენატრება ის ხალისი, როცა ეს პროცესი შენთან ერთად ხდებოდა, გვენატრება შენი, სითბო, სიყვარული, მზრუნველობა. დრომ ვერ გაანელა ტკივილი, რომელსაც ახალგაზრდა მამის გარდაცვალება ჰქვია.

შენ კეთილი და უბოროტო ადამიანი იყავი, ამიტომაც დაწყვიტე გული ყველა ახლობელსა თუ ნაცნობებს. უსაზღვროა დედას სევდა და ნაღველი, ბებიას ტანჯვა კი აუტანელი. გვენანები იმ ტკივილისთვის, რაც ავადმყოფობის დროს გადაიტანე. აგვისტოს ომის დროს სენაკის ბაზაზე იყავი, იქიდან უვნებელი, რომ დაგვიბრუნდი, რატომღაც ვფიქრობდით ვერაფერი მოგერეოდა, მაგრამ წუთისოფლის განაჩენს წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს.

რამდენი ოცნება და სურვილი დაგრჩა აუსრულებელი, მხოლოდ ერთ შევილიშვილს მოესწარი, უკვე ორნი არიან, შენს სურათებს ესათუთებიან და ვერაფრით ხვდებიან მხოლოდ ქაღალდზე რატომ ხარ. არადა მათთან ერთად უნდა გეხარა მონაგართა სიმრავლით.

ჩვენს გულებში სამარადისო ტკივილი ხარ.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

***შვილები: მონიკა, ლინდა, კახა.***

# საიდან იღებს სათავეს ახალი წელი...

ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიცია ფესვებს შორეული წარსულიდან იღებს. მისი აღნიშვნა ადამიანებმა მაშინ დაიწყეეს, როდესაც მიხვდნენ, რომ სამყაროს პერიოდული განახლების საჭიროება არსებობს.

სხვადასხვა ხალხებსა და ტომებში ახალი წლის დადგომა განსხვავებულ დროს აღინიშნებოდა, თუმცა, ამ დღესასწაულს ყველა ხალხს ერთი რამ აერთიანებდა–ახალ წელს კვდება ძველი სამყარო, ყველა ცუდ მოვლენასთან ერთად და იბადება ახალი სამყარო.

წინაქრისტიანულ პერიოდში, მრავალი ინდოევროპელი ხალხი ახალი წლის დადგომას ზამთრის ბუნიობის დროს აღნიშნავდნენ. მესამე საუკუნეში, ქრისტიანმა ისტორიკოსებმა ახალი წლის დაწყებად 1 მარტი მიიჩნიეს, ხოლო მეხუთე საუკუნიდან ამ სტილზე ევროპის მრავალი ქვეყანა გადავიდა. მეოთხე საუკუნეში რომის იმპერიაში წელთაღრიცხვა 25 დეკემბრიდან დაიწყეს, ანუ, ქრისტეშობიდან. საინტერესოა, რომ 1492 წელი „საბედისწეროდ“, ქვეყნიერების აღსასრულად მიიჩნეოდა. მიზეზი ებრაელი და ქრისტიანი სწავლულები გახდნენ, რომლებიც თითქოსდა, ბიბლიაზე დაყრდნობით ამტკიცებდნენ, რომ სამყარო მხოლოდ 6 000-7 000 წლის განმავლობაში იარსებებდა. ქვეყნიერების აღსასრულის რწმენა იმდენად დიდი იყო, რომ რომაული და რუსული კალენდრები 1492 წლით შემოიფარგლნენ. თუმცა, როგორც ცნობილია, აღსასრული არ დადგა და მსოფლიომ ჩვეულ რითმში გააგრძელა არსებობა.

ახალი წლის დღესასწაულის უცვლელი ატრიბუტი ნაძვის ხეა, რომელიც ოდითგანვე წარმოადგენდა ადამიანისა და ბუნების კავშირის განახლების სიმბოლოს. დიდი ხნით ადრე, სანამ ადამიანები შობის აღნიშვნას დაიწყებდნენ, ძველი ეგვიპტის მოსახლეობას, დეკემბრის ყველაზე ხანმოკლე დღეს სახლში პალმის მწვანე რტოები შემოჰქონდათ, როგორც სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების სიმბოლო. რომაელები მიწათმოქმედების ღმერთის პატივსაცემად, საახალწლო დღესასწაულის, სატურნალიის დროს, სახლებს მწვანე ფოთლებით რთავდნენ. ნაძვის ხის შესახებ პირველი წერილობითი „საბუთი“ მე-16 საუკუნეში გაჩნდა, რომლის თანახმადაც, ქალაქ სტრასბურგის მოსახლეობა ნაძვის ხეებს ფერადი ქაღალდებით, ხილით და ტკბილეულით რთავდა. დროთა განმავლობაში ტრადიცია მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

საქართველოში ახალი წელი სხვადასხვა ეპოქაში წელიწადის სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა. შემორჩენილი ცნობების მიხედვით, IV სუკუნეში ახალ წელს 6 აგვისტოს ზეიმობდნენ. VII საუკუნიდან აგვისტოს სექტემბერი ჩაენაცვლა. IX ასწლეულის 20-იანი წლებიდან ახალი წლის ათვლა გაზაფხულის პირველი თვიდან–მარტიდან იწყება. იანვარში ახალი წლის დღესასწაული, საბოლოოდ, XIV საუკუნეში დამკვიდრდა. იანვარში დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციასთან ერთად, ფეხს იკიდებს უამრავი წეს-ჩვეულება.

მაგალითად, კალანდა ანუ იგივე კალანდრა, სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, წლის თავს, ახალ წელიწადს ნიშნავს. გურულები ჩიჩილაკს კურკანტელას მარცვლებითა და ფოჩიანი კანფეტებით ამშვენებდნენ. მას თხილის ნედლი შტოდან თლიდნენ. ეს იყო რიტუალური საგანი, რომელსაც საახალწლოდ სპეციალურად ამზადებდნენ. ის ძირითადად დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. წინათ გურიასა და იმერეთში ახალი წლის დღეებში ყველა ცდილობდა თავის ოჯახში ჩიჩილაკი დაედგა. ნათლისცემის წინა ღამეს ჩიჩილაკს აუცილებლად წვავდენენ და სჯეროდათ, რომ გასული წლის უსიამოვნებებს მისი ფერფლი წაიღებდა. დღეს, საქართველოს ყველა რეგიონში, ლამაზად მორთულ ნაძვის ხესთან ერთად, ბარაქის სიმბოლოდ ჩიჩილაკიც გამოიყენება.

ახალ წელს განსაკუთრებული ადგილი ეკავა თოვლის ბაბუას. თოვლის ბაბუის წინაპრებად ზოგიერთ ქვეყანაში „ადგლობრივი“ ჯუჯები მიიჩნეოდნენ. ყველაზე გავრცელებული ისტორიის მიხედვით, თოვლის ბაბუის პროტოტიპს სავსებით რეალური ადამიანი წარმოადგენდა, რომელიც მეოთხე საუკუნეში, თურქეთის ქალაქ მირაში ცხოვრობდა, სახელად ნიკოლოზი. ხმების თანახმად, იგი ძალიან კეთილი ადამიანი იყო. ერთხელ მან გაჭირვებული ოჯახის სამი ბავშვი გადაარჩინა სიკვდილს, როდესაც მათ სახლში ფანჯრიდან ოქრო შეყარა. სიკვდილის შემდეგ, ნიკოლოზი წმინდანად აკურთხეს. შუა საუკუნეებში, ნიკოლოზობას, ანუ 19 დეკემბერს ბავშვებისთვის საჩუქრების ჩუქების ტრადიცია დაწესდა. მოგვიანებით, ტრადიციამ ახალი წლის დღეებისკენ გადმოინაცვლა. მოხუცს ყველგან სხვადასხვა სახელს ეძახიან: ესპანეთში-პაპა ნოელი, რუმინეთში-მოშ ჯარილე, ჰოლანდიაში-სინტე-კლასი, ინგლისსა და ამერიკაში-სანტა-კლაუსს, ხოლო ჩვენთან-თოვლის ბაბუას.

სადღესასწაულო განწყობა, მხიარული ატმოსფერო, რომელიც, ჩვეულებრივ, ამ დროს ყველა ოჯახში სუფევს, ადამიანებს ლამაზი იდეებისკენ უბიძგებს. დრო გადის, ტრადიციები იცვლება და ახალ ჩვეულებებს ეყრება საფუძველი, მაგრამ ამის მიუხედავად, არ იცვლება ყველაზე მთავარი–ახალი წელი სიახლის. იმედისა და სიხარულის მომტანია. მთავარია, მას ღიმილით შევეგებოთ, რადგან შობა-ახალი წელი ნამდვილად უცვლელია და ყველა ადამიანს აერთიანებს–ესაა რწმენა იმისა, რომ ახალი წელიწადი ყველაზე სანუკვარი სურვილების ასრულებას დაუდებს დასაბამს.

**მოამზადა ნინელი ხუხიამ.**

გილოცავთ!

## ნუცა ბუკიას!



ნუციკო, ჩვენო ჭკვიანო და ლამაზო დაიკო! გილოცავთ დაბადების დღეს, რომელსაც ყოველთვის სულმოუთქმელად მოელი.

ლამაზ, გაბრწყინებულ ბავშვობას გისურვებთ, წარმატებები, ბედნიერ დღეთა სიმრავლე ყოფილიყოს შენი გასავლელი გზის მეგზური.

ნუცა, ძალიან მოსიყვარულე და კომუნიკაბელური ხარ, ამიტომაც ყველას უყვარხარ, რაც გამორჩეულთა ხვედრია.

გფარავდეს უფალი.

გკოცნით უთვალავჯერ, გვიყვარხარ!

*ტატა, გოგი, ალექსანდრა.*

## იკა ბუკიას!



გადიან წლები, თითქმის გაილია შენი ბავშვობის ლამაზი დღეები. ახლა უკვე დიდი, მე-9 კლასელი ბიჭი ხარ. მოსიყვარულე და ნიჭიერი. მრავალმხრივი აზრებითა და იდეებითაა შენი ყოველდღიურობა დატვირთული. გაკვეთილების მომზადებასთან ერთად ზოგჯერ პატარა ძმიკოს–ანდრიას მიხედვაც გიწევს, რაც შენთვის ძალიან სასურველია.

გილოცავ ბებო დაბადების დღეს. ჩვენს ოჯახში 31 დეკემბერი ორმაგად სასიხარულოა. შენი დაბადების დღეს და ახალი წლის შემობრძანებას ერთად ვზეიმობთ.

გლოცავ და გეფერები დიდი სიყვარულით.

*მაყვალა ბებო.*

**განცხადება**

## მოქალაქის ზაქრო იოასავას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის მინიჭების თაობაზე

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დავალებით (დავალების ხელშეკრულება 60-7-115- 089) შპს „ენერგოტრანსი“ ახორციელებს ჯვარი-ხორგას შემაერთებელი ელექტროგადამცემი ხაზის პროექტს, რომლის ფარგლებშიც ხდება ჯვარის ელექტროქვესადგურის (500/220კვ) და ხორგა-ჯვარის ელექტროქვესადგურების დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზების (500 კვ და 220 კვ) მშენებლობა.

აღნიშნული წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე პროექტს და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის 122–ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის“ შემადგენელ ნაწილს. პროექტი ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) და ევროსაბჭოს სამეზობლო საინვესტიციო ფონდის (NIF) დაფინანსებით. პროექტი მოიცავს დაახლოებით 2X8 კმ სიგრძის 500 კვ გადამცემი ხაზის მშენებლობას, 500 კვ „კავკასიონის“ ხაზის შეჭრით და დაახლოებით 60 კმ (220 კვ) ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას ჯვარიდან ხორგაში, რაც გულისხმობს ახალი 220 კვ ორჯაჭვა ეგხ-ს მიერთებას ხორგის 220 კვ და ჯვარის 500 კვ ქვესადგურთან. პროექტით ასევე გათვალისწინებულია ახალი 500/200 კვ ქვესადგურის მშენებლობა ჯვარში–ქვესადგურის 500 კვ მხარის მოწყობა ამომრთველის ერთნახევარი სქემით, ორი დიაგონალით.

პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელი გახდა მოქალაქე ზაქრო იოსავას (პ/ნ 58001033513) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 45.03.21.099) ნაწილის გამოსყიდვა. მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული მისი საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული საკომპესაციო თანხის სანაცვლოდ, რაზედაც მან უარი განაცხადა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული გარემოება აფერხებდა პროექტის განხორციელებას, ხოლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების გარეშე შეუძლებელია პროექტის განხორციელება, შპს „ენერგოტრანსმა“ წერილობით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურების დაწყებისა და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მოთხოვნით.

წარმოდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შემოწმებისა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 26 ოქტომბრის **№1-1/458** ბრძანებით, ჯვარი-ხორგას შემაერთებელი ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი ჩაითვალა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიენიჭა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის ექსპროპრიაციის უფლება. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მესაკუთრე ზაქრო იოსავას (პ/ნ 58001033513), უძრავი ქონებაზე მდებარე ხობის მუნიციპალიტეტი სოფელი ბია, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 6073.00 კვ.მ, საექსპროპრიაციო ფართი 166 კვ.მ მიწის ნაკვეთი (შპს. „ენერგოტრანსის“ განცხადებაზე წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის შესაბამისად).

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ნინო სიჭინავა, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.